# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 ივნისი 2003 №103 (1874) | ფასი 50 თეთრი


# დიდი ფული, დიდი ჩხუბი

## ფედერაცია რკინიგზას კუთვნილ 300 ათასს სთხოვს და მძევლად ლოკომოტივს იტოვებს

ვერ არის კარგი ამბავი, კაცი საქმეს რომ მოგაბარებს, შენც იხეირე და მეც მახეირეო, მერე კი თავისი წილი სახვეწარი გაუხდება, ფული კი ვინც აიღო, არხეინადაა. ამას ხალხურად რაც ჰქვია, აქ ნუ ვიტყვით, საქმეს კი ოფიციალურად ასეთი სახე აქვს:

ფეხბურთის ფედერაციამ და რკინიგზის დეპარტამენტმა კონტრაქტი გააფორმეს, რომლის თანახმადაც რკინიგზელთა კუთვნილ „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს ნაკრების სამი მატჩიდან — ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან — მიღებული მთელი შემოსავალი დეპარტამენტს რჩებოდა, ფედერაციისთვის კი ფიქსირებული თანხა უნდა გადაეხადა.

ის სამი თამაში ეროვნულმა გუნდმა რა ხანია, ჩაატარა, ხოლო დეპარტამენტმა ფული ასევე რა ხანია, მიითვალა, აი, ფედერაციისთვის იმ ფიქსირებული წილის მიცემას კი არ ჩქარობს. თუმც „არ ჩქარობს" სწორი ნათქვამი არ არის — არ აპირებს. არადა, საქართველოს ნაკრები ირლანდიაშია წასასვლელი — სწორედ იმ ფულით, რომელზეც აქ გვაქვს ლაპარაკი.

მაინც რატომ არ სურს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს მის მიერვე ხელმოწერილი კონტრაქტის პირობის შესრულება? საქმე იქითკენ მიდის, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სასამართლოს მოუწევს, ჩვენ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ.

პირველი: იმ მატჩებიდან მიღებული შემოსავალი ფედერაციისთვის გადასახდელ 300 ათას დოლარზე ნაკლები იყო. მაგრამ ვისი ბრალია და ვისი გადასახდელია, დეპარტამენტმა სავარაუდო მოგება რომ ვერ განსაზღვრა?


ვალერი ჩოლარია

მეორე: არ უნდათ და არ იხდიან. ოღონდ გთხოვთ, ნუ იტყვით, რომ საქართველოში ასეთი რამეები არ ხდება.

სამწუხაროდ, მეტი ვერსია ჩვენ არ გვაქვს.

ფული ფულად და, ინციდენტი საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივსაც" საბოლოოდ განადგურებით ემუქრება. ფეხბურთის ფედერაცია ისედაც განახევრებულ გუნდს ტრანსფერების უფლების შეწყვეტით, ანგარიშის დახურვით და დაბალ დივიზიონში დაქვეითებით ემუქრება.


იხილეთ მეორე გვერდი




# ბისტრო!

## შუშაკი ქართველებს იმას ასწავლის, რაც აქამდეც უნდა სცოდნოდათ

# კალაძის რეცეპტი: ისე, როგორც რუსეთთან

თუ ირლანდიასთანაც ისე ვითამაშეთ, როგორც რუსეთთან, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ — თქვა გუშინ თბილისში ჩამოსულმა კახა კალაძემ.

ჩვენც ეგ არ გვინდა?!

სანაკრებოდ გამოძახებულთაგან კალაძე ბოლო ჩამოვიდა თბილისში ანუ უკვე გუშინ ეროვნულმა გუნდმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა. თუმცა ისიცაა, რომ შემადგენლობას საბოლოოდ გამოაკლდნენ დავით კვირკველია და ალექსანდრე ცქიტიშვილი, რომლებმაც ვერა და ვერ მოიშუშეს ტრავმები.

სხვა რა: ტოლკო ბისტროო, ასე მოძღვრავს ივო შუშაკი ფეხბურთელებს და უიმედობა, ადრეც აღვინიშნავს, არც მას ეტყობა.


REUTERS
ჟუსტინ ენენ-არდენი

# პითონი მოგუდეს

ოო, რამდენი ელოდა ამას... ქალთა საჩოგბურთო ქვეყანამ გადაიგდო ზანგი დედაკაცის უღელი. ჩოგბურთელ ქალთა ამქრის ყველაზე სუსტმა და სიფრიფანა წევრმა, ფრანგულენოვანმა ბელგიელმა ჟუსტინ ენენ-არდენმა საფრანგეთის დედაქალაქის მაღალი პუბლიკის აშკარა და გამოკვეთილი მხარდაჭერის თანხლებით სამსეტიან ზედაძაბულ ბრძოლაში პარიზულ თიხაზე დასცა მისი უჩოგნესობა სერენა უილიამსი, ქალთა კორტების შავი დევი. არადა, ბოლო ოთხი სლემტურნირის მომგებ სერენას წლის დასაწყისში დაუქადნია, წლეულს დიდი სლემის ოთხივე სეფეტურნირსაც მოვიგებ და საერთოდაც წაუგებლად გავილი სეზონსო. აპრუწუწუნ, ვერ მიერთვა, კნაჭა ჟუსტინმა ჩოგანი თიხაში ამოუგანგლა და როლან გაროსის ფინალს თავად გაემგზავრა.

პატარა ტანით ჯიგრით სავსე და ვეება გულის მატარებელ ჟუსტინ ენენ არდენისას როლან გაროსის ბოლო კორტზე ფუმფულა თანამემამულე კიმ კლაისტერ ჰიუიტისა დაუხვდება, ვისგან რუსი ნადია პეტროვას მეორე ნახევარფინალში ძლევის ამბავი სერენას მარცხმა დაჩრდილა. და, ფინალში ვინც უნდა მოიგოს, ენენმა თუ კლაისტერსმა, ამათი სამშობლო ორივეს წარმატებას განურჩევლად გაიხარებს, ბელგიას ხომ არასდროს ჰყოლია რაგინდარა სლემტურნირს მომგები შვილი.


AP
სერენა უილიამსი

# დიდი ფული, დიდი ჩხუბი

## ფედერაცია რკინიგზას სამი თამაშის 300 ათასს სთხოვს

მას შემდეგ, რაც 12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის საფეხბურთო მატჩი ჩაიშალა, რკინიგზის დეპარტამენტი და ფეხბურთის ფედერაცია „დამეგობრდნენ". ვისი ან რისი მიზეზით ჩაბნელდა ვაკური სარბიელი, ამის გასარკვევად ნაირგვარი კომისიები შეიქმნა, მაგრამ დანამდვილებით დღესაც არ ვიცით, ჩაბნელების მიზეზები.

ჩაშლილმა თამაშმა ფეხბურთის ფედერაციას ზარალის გარდა სხვა არაფერი მოუტანა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ფედერაციის და რკინიგზის დეპარტამენტის დამეგობრების მიზეზად სწორედ ის ინციდენტი იქცა.

ფედერაციის ზარალი რკინიგზის დეპარტამენტის და თელასის ერთობლივად ასანაზღაურებელი შეიქნა, მაგრამ საკუთარი ჯიბიდან ფული ძნელი გასაცემი იყო და ამიტომ აკაკი ჩხაიძე მერაბ ჟორდანიასთან მოლაპარაკებებს შეუდგა.

ინიციატივა, რომელმაც რკინიგზის დეპარტამენტი დალუპა, ფედერაციისგან წამოვიდა. გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ აკაკი ჩხაიძეს მომდევნო სამი სანაკრებო თამაშის მოვლა-პატრონობა შესთავაზა. ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან მატჩებს თქვენვე გაუკეთეთ ორგანიზაცია, ხარჯიც რკინიგზისა იყოს, მოგებაც და ფედერაციას მხოლოდ ფიქსირებული წილი უბოძეთო.

ვერ გეტყვით, რა მოგებას ელოდნენ რკინიგზელები და როგორ დაითვალეს გასავალ-შემოსავალი, მაგრამ მრავალჯერადი შეხვედრის და გარჩევის შემდეგ ფედერაციასა და რკინიგზის დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

გუშინდლამდე საკონტრაქტო პირობები ჩვენთვის უცნობი იყო. არადა, ორივე მხარეს ხელშეკრულების დეტალებზე სიტყვა არაერთხელ გადავუკარით, მაგრამ შეთანხმება კონფიდენციალურიაო, გვეუბნებოდნენ და სხვა რა გზა იყო, ჩვენც ფედერაციისა და რკინიგზის დეპარტამენტის მეგობრობისა ვიწამეთ.

მორიგი სანაკრებო თამაშიც მოახლოვდა, ფედერაციას საკმაო ხარჯიანობა ჰქონდა და საირლანდიოდ ფულს რკინიგზელებისგან რომ ამაოდ ელოდა, ადგა და ყველაფერი გამოამზეურა. თანაც მწარედაც დაიმუქრა, თბილისურ „ლოკომოტივს", თუ მისი პატრონი დროზე გონს არ მოეგო, უმაღლესი კი არა, პირველი ლიგაც უკან დარჩებაო.

ამ ორომტრიალში ერთი რამ ცხადია, ფეხბურთის ფედერაციას რკინიგზის დეპარტამენტისგან ფული ეკუთვნის, რომელიც ჯერ ვერ მიუღია და იმედიც დაუკარგავს, თორემ ასე არ დაიქუხებდა.

ჩვენ ორმხრივი მოლაპარაკებების ყველა დეტალი არ ვიცით, მართალია, ვალერი ჩოლარიამ კონტრაქტის ასლი დიდსულოვნად გადმოგვცა, მაგრამ ნუთუ რკინიგზის დეპარტამენტმა უკანდასახევი ერთი გზაც არ დაიტოვა?! მოკლედ, ქართულ ფეხბურთში ახალი სკანდალი მწიფდება.

### ფედერაციის წერილი რკინიგზის დეპარტამენტს

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს
გენერალურ დირექტორს,
ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი"-ს
პრეზიდენტს ბატონ აკაკი ჩხაიძეს

ბატონო აკაკი,

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აღნიშნავს, რომ ჩვენს შორის გამართული ორი შეხვედრა, თქვენი მხრიდან საკონტრაქტო (ხელშეკრულება №1; 04.03.2003წ) ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა.

ეს ნიშნავს, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გასვლითი მატჩებისთვის (ირლანდია — 11.06.2003წ) მზადების პროცესში მყოფი საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდები რჩებიან დაფინანსების გარეშე და ვერ შეძლებენ მონაწილეობის მიღებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ეს გამოიწვევს საქართველოს ნაკრები გუნდების გარიცხვას ევროპის ჩემპიონატებიდან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ნაკრები გუნდების ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების ჩაშლაზე სრულ პასუხისმგებლობას დააკისრებს შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმოქმედებს შემდეგნაირად:

1. დაუყოვნებლივ შეაჩერებს ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი"-ს ყველა საშინაო და საგარეო ტრანსფერს;
2. უეფა-ს მიერ ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი"-სთვის გამოყოფილი ყველა თანხა მოხსნილი იქნება სფფ-ს სასარგებლოდ;
3. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია ინფორმირებული იქნება თქვენს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე და ამის გამო სფფ-ს სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შეუძლებლობაზე;
4. სფფ-ს მიერ სასამართლოში შეტანილი იქნება ორი სარჩელი:

თქვენს მიერ ხსენებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე და 2002 წლის 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთის მატჩის თქვენი მიზეზით ჩაშლის გამო მოყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

მიიღეთ ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციის სახით.

პატივისცემით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

| | |
|---|---|
| მერაბ ჟორდანია | ვალერი ჩოლარია |
| პრეზიდენტი | გენერალური მდივანი |

ასლები: 1. უეფა-ს;
2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურს.

### ხელშეკრულების საკვანძო პუნქტები

#### III. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

3.1. ბილეთების რეალიზაციიდან და ნაბეჭდ პროდუქციაზე რეკლამის განთავსებიდან მიღებული შემოსავალი სრულად ეკუთვნის შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.

3.2. ბილეთების რეალიზაციის და ნაბეჭდ პროდუქციაზე რეკლამის განთავსების უფლების გადაცემისთვის „რკინიგზა" უხდის „ფედერაცია"-ს 300.000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ფიქსირებულ თანხას ეროვნულ ვალუტაში დლგ-ს ჩათვლით, დამოუკიდებლად ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა, შემდეგ ვადებში:

-100.000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში 2003 წლის 20 მარტამდე;

-100.000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში 2003 წლის 15 აპრილამდე;

-100.000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში 2003 წლის 10 მაისამდე;

#### IV. პასუხისმგებლობა და საჯარიმო სანქციები

4.1. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

4.2. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის პირობებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, რკინიგზა გადაუხდის ფედერაციას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 0,15%-ს.

4.3. სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო წესით ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


ვალერი ჩოლარია


აკაკი ჩხაიძე

ვალერი ჩოლარიამ ჩვენი თანდასწრებით გუშინ ისეთი სიტყვები წარმოთქვა, გაოცებულებს თვალები გადმოცვენაზე გვქონდა. „მე მადლობას ვუხდი საგადასახდო დეპარტამენტს..." — ხუთი წელიწადია, ფედერაციის გენმდივანს თვეში ერთხელ მაინც ვხვდებით და, ამ ხნის მანძილზე გამუდმებული ყადალით გულგაწვრილებული ჩოლარიასგან საგადასახადოს აუგი თუ მოგვისმენია.

ფედერაციის გენერალური მდივანი მადლობად მსაჯ-დელეგატების, „დინამოს" ხელმძღვანელობის, ავიაკომპანია „აირზენასა" და სასტუმრო „მესაზღვრეს" თავკაცების, აგრეთვე ფიფა-უეფას მისამართითაც დაიღვარა. ყველაფრის სათავე კი, ჩოლარიას განცხადებით, რკინიგზის დეპარტამენტი და მისი ხელმძღვანელობა ყოფილა.

„12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის საფეხბურთო მატჩის ჩაშლით ფედერაციამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ნახა. ალბათ იცით, რომ სპეციალური კომისია ამ საქმეს დღესაც იძიებს, თუმც ჩვენ დანაკლისის ანაზღაურებას რკინიგზის დეპარტამენტს და თელასს ვთხოვდით. ეს ცალკე ამბავია და მას შემდეგ, რაც რკინიგზელებმა პირი გვიტეხეს, იძულებულები გავხდით, ყველა ბერკეტი გამოგვეყენებინა, რათა ჩვენი კუთვნილი ძველ-ახალი თანხები ამოგვეღო.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძის თანდასწრებით მე და აკაკი ჩხაიძემ კანცელარიაში მოვილაპარაკეთ, მერე კი შეთანხმება ოფიციალური ხელშეკრულებით გავამყარეთ. ფედერაციამ გარკვეული ფიქსირებული თანხის სანაცვლოდ რკინიგზის დეპარტამენტს ნაკრების სამი საშინაო მატჩის ორგანიზაციული მხარეების მოწესრიგების, გასავალ-შემოსავლების განკარგვის ყველა უფლება დაუთმო.

რკინიგზის დეპარტამენტს ფედერაციისთვის ფული ეტაპობრივად უნდა გადაეხადა. 20 მარტისთვის 100 ათასი, ამდენივე 15 აპრილისთვის, ხოლო 10 მაისს ბოლო, 100 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარებში უნდა გვრგებოდა.

ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს სამჯერ ვაახლეთ წერილი, სადაც კუთვნილს ვითხოვდით. აკაკი ჩხაიძისთვის ხელშეკრულების ხელმოწერა არავის დაუძალებია, მოგება და წაგება ხომ ძმები არიან და როცა კონტრაქტს ხელს აწერდა, ალბათ ჩხაიძემ რისკის ფასიც გაითვალისწინა.

კონტრაქტის საფუძველზე ფედერაციას დეპარტამენტისგან ყოველ დაგვიანებულ დღეზე საერთო თანხის 0,15 პროცენტიც ერიცხება. რკინიგზელებს საურავზე არ ვახრჩობდით, მაგრამ ფედერაციის მრავალჯერადი მოთხოვნის შემდეგ კუთვნილი საერთო თანხიდან 50 ათასის მიღებაღა მოხერხდა.

გარდა იმისა, რომ ნახსენები 300 ათასი ჩვენი სამი თვის ბიუჯეტია, რაშიც საირლანდიო ხარჯებიც გვქონდა გათვალისწინებული, ჩვენ ანგარიშვალდებულები ვიყავით უეფასთან და საგადასახადო დეპარტამენტთანაც. უეფას ზემოთ ნახსენები კონტრაქტი ადრევე ვაახლეთ, ხოლო სახელმწიფოს ეგ ხელშეკრულება დიდად არც აინტერესებს, გადასახადი ბიუჯეტში უნდა შეიტანო. ამიტომაც ვემადლიერებით საგადასახადო დეპარტამენტს, რომელიც ჩვენს გასაჭირს გაგებით მოეკიდა, თორემ კიდევ ერთ ყადაღას ვერ გადავიტანდით.

რა ხანია, რკინიგზელებს დამატებითი ღირებულების გადასახადის დამადასტურებელი დოკუმენტები ვაახლეთ, მაგრამ პასუხი არ გვაღირსეს. უეფაში კი შემოსავლის 4 პროცენტია გადასარიცხი, მაგრამ საქმე ისე წაგვივიდა, ფიფა-უეფასგან ფულს აქეთ ვსესხულობთ.

ირლანდიაში ჩარტერი 50 ათასი დოლარი ღირს, სასტუმროს ხარჯები 35 ათასია, ლეგიონერების ჩამოსვლა-გამგზავრება 20 ათასს უკაკუნებს. ამას დავუმატოთ შეკრების მოსაწყობად აუცილებელი ხარჯები და თავად მიხვდებით, რა თანხაა.

ჩარტერისა და სასტუმროს ფული ფიფასგან ვისესხეთ. რაღაც გრანტები სამომავლოდ გვერგება და მისი მოზრდილი წილი ფიფას ახლავე ვთხოვეთ.

რომ არა ფიფასა და უეფას დახმარება, ნაკრები ალბათ ირლანდიაში ვერ გაემგზავრებოდა. მერაბ ჟორდანიასთან ერთად სამჯერ პირადად შევხვდი ჩხაიძეს და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იმ ფულის გადახდას რკინიგზის დეპარტამენტი არც აპირებს.

ჩვენდა ჭირად, ირლანდიაში საწვავი გაძვირებულა, უკან ხომ უნდა გამოვფრინდეთ, ფულისთვის ისევ ფიფა-უეფას ხომ არ მივადგებით, ამიტომ თანხა ბოლო თეთრამდე ჩვენი მოსაპოვებელია.

ფედერაციას სხვა გზა არ რჩება, ჩვენს ხელთ არსებული ბერკეტებით კი ესლა შეგვიძლია — „ლოკომოტივს", რომელიც რკინიგზის დეპარტამენტის მფლობელობაშია, საშინაო და უცხოური ტრანსფერების უფლება შევუწყვიტოთ. უეფასგან რკინიგზელთათვის გამოყოფილი 80 ათასი შვეიცარიული ფრანკი, რომელიც „ლოკომოტივს" შარშან უეფას თასზე თამაშისთვის ერგება, ჩვენვე დაგვრჩება.

საგადასახადო დეპარტამენტს ვთხოვთ, ყადაღის გამოყენებით რკინიგზის დეპარტამენტისგან ბიუჯეტის კუთვნილი 40 ათასი ამოიღოს. დარჩენილი კუთვნილი თანხის დაბრუნებას კი სასამართლოს დახმარებით ვაპირებთ.

„ლოკომოტივს", თუ რკინიგზის დეპარტამენტმა ჩვენს მოთხოვნებს ყური არ ათხოვა, უმაღლესი კი არა, პირველი ლიგა მოენატრება, არავის მივცემთ უფლებას, ფედერაციას ზემოდან დახედოს და ქართული ფეხბურთის ინტერესები უგულებელყოს.

ჩათვალეთ, ჩემი სიტყვებით მერაბ ჟორდანია გელაპარაკებათ, ჩვენ ყველაფერში შევთანხმდით და ერთობლივი გადაწყვეტილებაც გაახლეთ.

**— „ლოკომოტივის" რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის ეროვნული და ახალგაზრდული გუნდის წევრები — ლომაია და სირაძე — უცხოური ტრანსფერების მოლოდინში არიან. თუ ფედერაციამ რკინიგზულ კლუბს ტრანსფერების განხორციელება უკრძალა, იმ ფეხბურთელებს რა ელით?**

— „ლოკომოტივი" ვერ იხეირებს, თორემ ფეხბურთელებს არაფერს ვერჩით, მათ არ დავაბრკოლებთ.

**— რკინიგზის დეპარტამენტმა კუთვნილი ირლანდიაში გამგზავრებამდე რომ აგინაზღაუროთ?**

— მაშინ კიდევ შევძლებთ მოლაპარაკებას, ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ, წყენას ადვილად ივიწყებენ.

**მამუკა ძვანტალიანი**

შვედეთი
თასის მფრენდფინალი
ენკოიოპინგი ჰ2დ.დ. (1:1) ჰალმსტადი







# შუშაკის ბისტრო დილომში

## კახა კალაძეს აეროპორტში ვახტანგ გორგასლის ორდენი ახარეს





საქართველოს ნაკრები უკვე სრული შემადგენლობითაა და ირლანდიასთან მატჩისთვის მზადებას გეგმის მიხედვით განაგრძობს. გუშინ ეროვნულ გუნდს შეუერთდა კახა კალაძეც, რომელიც ვენიდან ექვსის ნახევარზე ჩამოფრინდა და ნაცნობ-მეგობართა მოკითხვის შემდეგ აეროპორტიდან პირდაპირ დილმის ბაზისკენ გასწია, იქ მისული ჯერ მწვრთნელს მიესალმა და ორიოდ წუთში მოვარჯიშე თანაგუნდელებს შეუერთდა. კახამ აეროპორტშივე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მემშარიაშვილისგან შეიტყო მისი ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ და მადლობაც იქვე გადაიხადა — მიხარია, რომ სახელმწიფო ჯილდო დავიმსახურე, ვეცდები, ქართველი ხალხი კიდევ ბევრჯერ გავახარო, გმადლობთ.

ჩემპიონთა თასის მომგებმა კახა კალაძემ თბილისში პირველად ეს თქვა, ვარჯიშის შემდეგ კი სამომავლო მატჩზე იმედიანად ილაპარაკა. თუმც იქამდე გუშინდელი სანაკრებო ამბავი ვთქვათ.

გუნდმა გუშინაც ორჯერ ივარჯიშა. დილით „ეროვნულზე“ და საღამოს ექვსი საათიდან დილმის ბაზაზე. კალაძის ჩამოსვლამდე ივო შუშაკის განკარგულებაში 17 ფეხბურთელი იყო. ისვენებდა კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელსაც ფეხი ასტკივდა. გუნდის ვარჯიშისას ის სატრენაჟოროში იყო. მისივე თქმით, ტრავმა სერიოზული არ არის და ვარჯიშს დღესვე განაახლებს. საბოლოოდ გამოირიცხა ირლანდიასთან კვირკველისა და ცქიტიშვილის თამაში. „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი გუშინდელ ვარჯიშსაც გარედან უცქერდა. შუშაკს შეგირდები არც ამჯერად დაუტვირთავს. მოთელვის შემდეგ შეტევის რამდენიმე ვარიანტი დამუშავდა და მერე „ორი კარიც“ გაჩაღდა. გადაღლილი, ფორმიდან ამოვარდნილი არავინ ჩანს და უკმაყოფილო არც თავად მწვრთნელია. ყოველი ვარჯიშისწინა მითითების ბოლოს შუშაკი ერთსა და იმავეს — ტოლკო ბისტრო, ტოლკო ბისტრო — გაიძახოდა, შეგირდებისგან ტემპს ითხოვდა და ბიჭებიც არ აყოვნებდნენ.

ივო შუშაკი სადღეისოდ მორიგ პრესკონფერენციას გვპირდება და დანარჩენს თავად გვეტყვის.

ახლა კი, რა თქვა კალაძემ, რომელიც შინ წასვლამდე ორიოდ წუთით ჩვენთან შეჩერდა: — ძლიერ მეტოქესთან მეტად რთული მატჩი გველის. ირლანდია ევროპის საუკეთესო გუნდთა შორის კი არის, მაგრამ დღესდღეობით ისე ვერ თამაშობს, როგორც შარშან ზაფხულს. სტუმრად შეხვედრის მიუხედავად, ვფიქრობ, გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს. კარგი შანსი კი არა, თუ დუბლინში ისევე ვითამაშებთ, როგორც რუსებთან თბილისში, დარწმუნებული ვარ, ირლანდიას მოვუგებთ. ისინი ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, ბურთი სულ ჰაერში აქვთ და მეტოქის საჯარიმოში ჭიდაობენ. უჯანობას არც ჩვენ ვუჩივით, ვიბრძოლებთ და ვიმედოვნებ, სასურველი შედეგით დავბრუნდებით.

ასე დაგვაიმედა კახამ და ისიც მოაყოლა, შემიძლია, „მილანის“ მოგებული ჩემპიონთა თასი თბილისშიც ჩამოვიტანოო.

ბოლოს კი, ერთი ინფორმაციაც. 11 ივნისის ირლანდია — საქართველოს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი „რუსთავი 2“-ს დაუგეგმავს.

**კობა ინასარიძე**

**ბადრი კეთილაძის** *ფოტოები*



ახალგაზრდული ნაკრებიდან „დინამოს“ გოლი დინამოელმა ლადო ახალაიამ (ბურთით) გაუტანა

# ეროვნულზე ვერ იფრინეს

## დინამოს დავით პეტრიაშვილი 2

**საირლანდიო** შეკრების მესამე დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისის „დინამოს“ გაეჯიბრა „ეროვნულზე“ და მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

დინამოელები საუკეთესო შემადგენლობით ვერ წარსდგნენ — ზოგი ეროვნულ-ახალგაზრდულ ნაკრებებშია გამოძახებული, ზოგიც ისვენებს. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***ახალგაზრდული ნაკრები:*** *მამალაძე, სალუქვაძე (გამეზარდაშვილი), ინწკირველი, კანდელაკი, საჯაია, ქოქაშვილი, ხოჯავა, ჭელიძე, ახალკაცი, ახალაია (რეხვიაშვილი), ბობოხიძე (ჩხეტიანი).*

***დინამო:*** *ივარდავა, მაზიაშვილი, წერეთელი, შელია, მანწკავა, სახვაძე ქქონია, პეტრიაშვილი, იაშვილი, მანჩხავა (ზუჭუა), რეხვიაშვილი (კაშია).*

„ლოკომოტივიდან“ დათხოვნილი მანუჩარ ივარდავა „დინამოს“ კარს იცავდა, რადგან ახალგაზრდულ ნაკრების თავკაცებს მისი საქმეში ნახვაც სურდათ, ხოლო ლაშა რეხვიაშვილმა ტაიმტაიმ ითამაშა ორივე გუნდში — პოლონური „რუხის“ და ახალგაზრდული ნაკრების შემტევმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

„დინამოს“ მაისურა ეცვა 24 წლის დავით პეტრიაშვილსაც. კლუბის მმართველი დირექტორის სეხნია და მოგვარე თავის დროზე ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმც მაღალ დონეზე მისი კარიერა ჯერ ვერ შედგა. ბოლოს პეტრიაშვილი საბერძნეთის მეორე ლიგის „კალამატაში“ გამოდიოდა და ახლა „დინამოში“ სურს თამაში, თუმც მისი ხელმეორედ გადინამოელება ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

თვით მატჩი დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა. თანაბარი თამაში იყო და შედეგიც ლოგიკური გახლდათ. ოცდაერთწლამდელებმა პირველ ტაიმში გაიტანეს — მიხეილ ბობოხიძის გადაცემით ლადო ახალაიამ ახლოდან შეაგდო. „დინამომ“ კი გამათანაბრებელი შეხვედრის ბოლო წუთებზე გაიტანა — პეტრიაშვილმა კარგად გაუჭრა პასი შოთა კაშიას, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან ზურაბ მამალაძეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

**დავით თაგართქილაძე**



რევაზ არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნება პაშინგი პერშინგი?

## ავსტრიელი დებიუტანტი ჩემპიონური მოგონებებით


გეორგ ზელჰოფერი

**პაშინგი**

პაშინგი, ავსტრია

დაარსდა 1946 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ფრანც გრადი
გენერალური მდივანი: ჰაიკე ფიშერი
მთავარი მწვრთნელი: გეორგ ზელჰოფერი
სტადიონი: „ვალდშტადიონი" (ტევადობა 5 650)
ევროთასების დებიუტანტი




**საქართველოს** მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელ თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე მეტოქედ ავსტრიული „პაშინგი" ერგო.

მაქსბუნდესლიგის ბოლო ტურებში საქმე ისე მიდიოდა, რომ ვეტერინარებს დავით მუჯირის „შტურმთან" უწევდათ დაჯახება, თუმცა გრაცელებმა როგორღაც მოახერხეს და თბილისის გზაზე „პაშინგი" გაატარეს.

ეს კლუბი ავსტრიული ფეხბურთის გრანდად არასოდეს ითვლებოდა. მეტიც, სეზონის წინ ბევრი არც ელოდა, ლიგის დებიუტანტი „პაშინგი" ევროსაგზურს თუ მოიპოვებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უფულოდ დარჩენილი „ტიროლი" დაიშალა, ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. საქმე ისაა, რომ ავსტრიის შარშანდელი ჩემპიონის, „ტიროლის" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი სწორედ „პაშინგმა" შეიფარა. მათ შორის ყველაზე გამორჩეული კრისტიან მაირლები, ედუარდ გლიდერი და არნოლდ ჰორტნაგლი არიან. ვეტერინართა მომავალ მეტოქეს სხვა, მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიც ჰყავს — მეკარე შიკგლუბერი, რომელსაც გრაცის „შტურმის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაც დაუჭაშნიკებია, უნგრელი ფერენც ჰორვატი, რომელსაც თბილისში ადრეც უთამაშია მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ და ტომით სერბი ბოზო კოვაჩევიჩი.

ახლახან „პაშინგის" თავკაცმა გეორგ ზელჰოფერმა ორი მნიშვნელოვანი შენაძენითაც გაიხარა — „აუსტრიადან" ნახევარმცველი მანფრედ როტბაუერი და „ლინციდან" ვოლფგანგ ბუბენიკი გადაიბირა.

კლუბს კი დღე-დღეზე ხუთი ფეხბურთელი დატოვებს — შტეფან აუერის, მეთინ ასლანის, როლანდ ჰაშპეკისა და მარიო მულბაუერის წასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ვეტერანმა ალექსანდერ მეტლიცკიმ კი ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ „პაშინგი" პირველ მატჩს შინ გამართავს „ვიტ ჯორჯიასთან" 21 ივნისს. საპასუხო შეხვედრა ერთ კვირაში თბილისში ჩატარდება.

ამ ეტაპის გავლის შემთხვევაში ვეტერინარებს შედარებით სუსტი მეტოქე ეყოლება: სლოვაკური „სპარტაკისა" და მაკედონიური „პობედას" შორის გამარჯვებული. თუმც იქამდე „პაშინგია"...

**კახა შალამბერიძე**


ავსტრიელთა მთავარი იმედი კრისტიან მაირლები


ბოზო კოვაჩევიჩი



„პაშინგის" მშობლიური კოხტა „ვალდშტადიონი"





შვეიცარიელი ჟილბერ გრესისთვის დავით მუჯირი მესამე ქართველი შეგირდი იქნება

# გრესმა მუჯირს მერვე ცდაზე მიაგნო

**დავით მუჯირს** და გრაცის „შტურმს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. შვეიცარიელმა სპეციალისტმა, 61 წლის ჟილბერ გრესმა, გუშინწინ ერთი წლით დაუკავშირა ბედი „შტურმს". ეს მოსალოდნელიც იყო. ფრანკო ფოდას თავკაცობით მუჯირმა და კომპანიამ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავეს მაქსბუნდესლიგაში, რაც ცხადია, კლუბის ხელმძღვანელობას გულზე სულაც არ დაეხატა.

შეგახსენებთ, რომ ფოდამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე შარშან შეცვალა ცნობილი ივიცა ოსიმი. ახლა კი მას გრაცელებმა გრესის თანამშრომლობა შესთავაზეს.

დავით მუჯირის ახალ დამრიგებელს ქართველებთან ადრეც უმუშავია — ის შვეიცარიულ „ციურიხში" გოჩა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის მწვრთნელი გახლდათ და მათთან ერთად ქვეყნის თასიც მოიგო.

ფეხბურთელობისას კი ფრანგულ „სტრასბურში", „მარსელსა" და გერმანულ „შტუტგარტში" ნათამაშები ჟილბერ გრესი სამწვრთნელო კარიერაში შვიდ გუნდს ედგა სათავეში — „სტრასბური", „ბრიუგე", „ქსამაქსი", „სერვეტი", „ციურიხი", „მეცი" და შვეიცარიის ეროვნული ნაკრები.

გრაცის „შტურმი" გრესის მერვე ნავსაყუდელია.

**კახა შალამბერიძე**

## ინტერტოტოს თასი 2003

### პირველი ეტაპი. 21-22. 06 – 28-29. 06

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პაშინგი (ავსტრია) | – | ვიტ ჯორჯია (საქართველო) |
| 2 | ენკამპი (ანდორა) | – | ლიერსი (ბელგია) |
| 3 | სპარტაკი (სლოვაკეთი) | – | პობედა (მაკედონია) |
| 4 | პარტიზანი (ალბანეთი) | – | მაკაბი (ნეთანია, ისრაელი) |
| 5 | ბრნო (ჩეხეთი) | – | კოტაიკი (სომხეთი) |
| 6 | კოპერი (სლოვენია) | – | ზაგრები (ხორვატია) |
| 7 | ქალგირისი (ლიტვა) | – | იორგრიტე (შვედეთი) |
| 8 | დიორ ეტო (უნგრეთი) | – | ეთნიკოსი (კვიპროსი) |
| 9 | ვიდეოტონი (უნგრეთი) | – | ჩერნო მორე (ბულგარეთი) |
| 10 | ოდრა (პოლონეთი) | – | შემროკ როვერსი (ირლანდია) |
| 11 | ტამპერე (ფინეთი) | – | ჩაჰლაული (რუმინეთი) |
| 12 | სუტიესკა (სერბეთი) | – | უნიონი (ლუქსემბურგი) |
| 13 | ბანგორ სიტი (უელსი) | – | გლორია (რუმინეთი) |
| 14 | ოფკ (სერბეთი) | – | ტრანსი (ესტონეთი) |
| 15 | დინაბურგი (ლატვია) | – | ვილი (შვეიცარია) |
| 16 | პოლონია (პოლონეთი) | – | ტობოლი (ყაზახეთი) |
| 17 | დუბნიცა (სლოვაკეთი) | – | ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) |
| 18 | დანჩია (მოლდოვა) | – | გი გოტუ (ფარერები) |
| 19 | სლობოდა (ბოსნია) | – | აკურეირი (ისლანდია) |
| 20 | შახტიორი (ბელარუსი) | – | ომაგ თაუნი (ჩრდ. ირლანდია) |
| 21 | ალიანსი (ფინეთი) | – | ჰიბერნიანსი (მალტა) |

### მეორე ეტაპი

| | | | |
|---|---|---|---|
| A | აკრატიტოსი (საბერძნეთი) | – | 21 წყვილის გამარჯვებული |
| B | 7 წყვილის გამარჯვებული | – | ნანტი (საფრანგეთი) |
| C | სინოტი (ჩეხეთი) | – | 14 წყვილის გამარჯვებული |
| D | ? (ესპანეთი) | – | 8 წყვილის გამარჯვებული |
| E | სლოვანი (ჩეხეთი) | – | 10 წყვილის გამარჯვებული |
| F | თუნი (შვეიცარია) | – | 5 წყვილის გამარჯვებული |
| G | ბრეშა (იტალია) | – | 13 წყვილის გამარჯვებული |
| H | 9 წყვილის გამარჯვებული | – | ვოლფსბურგი (გერმანია) |
| I | 20 წყვილის გამარჯვებული | – | ციბალია (ხორვატია) |
| J | სენტ ტრუიდენი (ბელგია) | – | 16 წყვილის გამარჯვებული |
| K | ტილბურგი (ჰოლანდია) | – | 15 წყვილის გამარჯვებული |
| L | 3 წყვილის გამარჯვებული | – | 1 წყვილის გამარჯვებული |
| M | 19 წყვილის გამარჯვებული | – | 2 წყვილის გამარჯვებული |
| N | 11 წყვილის გამარჯვებული | – | 12 წყვილის გამარჯვებული |
| O | 18 წყვილის გამარჯვებული | – | 4 წყვილის გამარჯვებული |
| P | 6 წყვილის გამარჯვებული | – | 17 წყვილის გამარჯვებული |

# ძოძუაშვილი ოსეთიდან სახელის გატეხვას გამოექცა

## ჩხაიძემ რეზოს ლოკომოტივი შესთავაზა

*ვლადიკავკაზის „ალანიადან" წამოსულმა რევაზ ძოძუაშვილმა, შესაძლოა, თბილისის „ლოკომოტივი" ჩაიბაროს. მწვრთნელსა და რკინიგზელთა ხელმძღვანელებს წინასწარი მოლაპარაკება უკვე ჰქონდათ, რითაც ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. საბოლოო სიტყვა კი დღეს-ხვალ უნდა ითქვას, ყოველ შემთხვევაში, გუშინ, რევაზ ძოძუაშვილს „ალანიას" დატოვების მიზეზებზე და მომავალზე რომ ვესაუბრეთ, გვითხრა — თბილისის „ლოკომოტივში" ჩემი დანიშვნის საკითხი ორშაბათამდე გაირკვევაო.*

*„ალანია" კი ძოძუაშვილმა ამ ორშაბათს მიატოვა. მოსკოვში, „ტორპედო-მეტალურგთან" 1:3 წაგება ვლადიკავკაზელთათვის ზედიზედ მეოთხე იყო. ჩემპიონატის სტარტზე ალანები სამეულში კი იმყოფებოდნენ და სპეციალისტთა მოწონებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ მერე და მერე მათი თამაში გაფერმკრთალდა და ახლა ისინი გასავარდნი ზონის ახლო-მახლო ტრიალებენ.*

*რევაზ ძოძუაშვილი კი ძველ ქართულ ანდაზას იშველიებს და ამბობს, სახელის გატეხვას თავის გატეხვა გერჩივნოსო*

— რუსეთის ბოლო ოთხი ჩემპიონატი „ალანიას" ისე წარმატებით არ დაუწყია, როგორც ახლა. გუნდი საწყისი ათი ტურის შემდეგ მაქსიმუმ 4 ქულას აგროვებდა და მერე უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ჩემმა გაწვრთნილმა „ალანიამ" კი სამ ტურ მეტი, 12 ქულა მოაგროვა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პრემიერლიგის პირველი წრეც არ დამთავრებულა, შემიძლია ვთქვა, ეს გუნდი არ გავარდება.

თავმოყვარე მწვრთნელი ვარ, ჩემი გუნდები მუდამ ჩემპიონობა-პრიზიორობისთვის იბრძოდნენ, ვლადიკავკაზელთა მიზანი კი — ჩემპიონატში მე-8-10 ადგილი — არ მაკმაყოფილებდა. მეტისთვის ვიყავი მზად, მაგრამ აქ უკვე ფინანსურ პრობლემებს წავაწყდით. „ალანიას" მატჩის მოგებისთვის პრემიალური 100 ათასი ერგება, ამას კლუბის ხელმძღვანელობა ზმაძლად ამბობს. ბოლო, ბოლო დროს, გუნდში სწორედაც რომ ფინანსური საკითხები ვერ იყო წესრიგში. სახელის გატეხვას კი თავის გატეხვა ვამჯობინე და წამოვედი, ავტორიტეტს გავუფრთხილდი. მე მაინაცრა მწვრთნელი არასდროს ვყოფილვარ, ვფიქრობ, რომ საფეხბურთო რუსეთს ჩემი ძალა უკვე დავანახე.

**— „ალანიადან" თქვენს წამოსვლამდეც ამბობდნენ, რომ შესაძლოა მოსკოვის „სპარტაკი" ოლეგ რომანცევმა დატოვოსო და მის შემკვიდრედ თქვენ გასახელებდნენ... ახლაც არის ასეთი ვარიანტი?**

— მარტო „სპარტაკზე" არ ყოფილა ლაპარაკი, ისიც თქვეს, რუსეთის ნაკრები ძოძუაშვილს ჩაბარეთო. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი იმიტომ გაკეთდა, გაზაევსა და რომანცევს წავკიდებოდი. ასეთი განცხადებების შემდეგ, თავისთავად ცხადია, მწვრთნელები იფიქრებდნენ, ძოძუაშვილს ჩემი ადგილი სურსო და ურთიერთობა გაგვიფუჭდებოდა. ძოძუაშვილი ის კაცი არ არის, ვინმეს სკამს შეეცილოს. რუსული კლუბებისგან რამდენიმე წინადადება კი მართლაც მქონდა, მაგრამ ახლა იქ განაა ჩემპიონატი, პირველი წრის ჩამთავრებამდე ერთი თვე დარჩა.

**— ესე იგი, პირველი წრის დამთავრებას ელით და მუშაობას რუსეთშივე გააგრძელებთ?**

— გამორიცხული არ არის.

**— საქართველოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— რატომაც არა. უკვე შევხვდი თბილისის „ლოკომოტივის" პრეზიდენტს აკაკი ჩხაიძეს. ვისაუბრეთ ძველ შეცდომებსა და სამომავლო ურთიერთობებზე.

**— შესაძლოა „ლოკომოტივი" ჩაიბაროთ?**

— შესაძლოა. ჩხაიძის სურვილია, რომ „ლოკომოტივის" მწვრთნელად დამნიშნოს.

**— თქვენი სურვილი?**

— წინააღმდეგი არც მე ვარ.

**— მაშ შეთანხმებულხართ...**

— ჯერ არა. აკაკი ჩხაიძეს ორშაბათამდე კიდევ შევხვდები და ეს საკითხიც მაშინ გაირკვევა.

**— გასარკვევი რაღაა, თუ კი ორივე მხარის სურვილია?**

— გააჩნია რას მოითხოვს კლუბი, როგორი პირობებით. მილიონ დეტალზეა სალაპარაკო. თუ ყველაფერზე შევთანხმდით, რა პრობლემაა, ჩავიბარებ „ლოკომოტივს".

**ძოგა ინასარიძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

2000 წელს რევაზ ძოძუაშვილმა „ლოკომოტივს" საქართველოს თასი მოაგებინა

# ოთხნი დავრჩით ქვეყანაზე

*რუსთავის „გორდა" იმ „შესანიშნავ ხუთეულს" გამოაკლდა, რომელსაც 1990 წლიდან მოყოლებული საქართველოს ყველა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უთამაშია. ასეთი გუნდები ახლა ოთხნი დარჩნენ — თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ფოთის „კოლხეთი" და „ბათუმი"*

**ამათ** „გორდასთან" ერთად თოთხმეტივე ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგაში ჰქონდათ გადაგორებული, თუმც რუსთაველები, როგორც იცით, მომავალ სეზონს ოდენ პირველ ლიგაში შეხვდებიან.



მურამ დოლენჯაშვილის ფოტო

წნორის „მილანმა" უმაღლეს ლიგაში ერთი წელი გაძლო, რუსთავის „გორდა" კი შესანიშნავ ხუთეულს გამოაკლდა

საერთოდ, ქართული ფეხბურთის საუკეთესოთა ამქარიდან აქამდე 22 გუნდი გავარდნილა. ამათ ახლახან წნორის „მილანი", ზესტაფონის „მეტალურგი" და რუსთავის „გორდა" შეუერთდნენ. საინტერესოა ისიც, რომ „გორდა" ყველაზე ტიტულიანი კლუბია, ვისაც ქართული უმაღლესი ლიგა დაუტოვებია. რუსთაველები ორგზის ბრინჯაოს პრიზიორები არიან, ერთხელაც თასის ფინალში ითამაშეს.

წლეულს მესამედ მოხდა, როცა უმაღლესი ლიგა ერთდროულად სამმა გუნდმა დატოვა, აქამდე „მეტალურგ"-„მილან"-„გორდას" ბედი 1996-97 წლების სეზონში თელავის „კახეთმა", „სამტრედიამ" და ხაშურის „ივერიამ", ხოლო 2000-01 წლებში გორის „დილამ", თსუ-მ და სამტრედიის „იბერიამ" გაიზიარეს. თუმც ეს რეკორდი სულაც არ გახლავთ — ორჯერ, 1993-94 და 1999-2000 წლებში უმაღლეს ლიგას ოთხ-ოთხი გუნდი დაემშვიდობა: გურჯაანის „ალაზანი", ქობულეთის „შუქურა", ჭიათურის „მაღაროელი", თბილისის „მრეტები", წყალტუბოს „სამგურალი", „თბილისი", „ხობი" და თბილისის „არსენალი".

სათქმელი წნორის „მილანზეც" გვაქვს. კახელებმა მხოლოდ ერთი სეზონი გაძლეს საუკეთესოთა შორის. ასეთი შემთხვევა კი წნორელებამდე სულ რვაჯერ მომხდარა. „ჩემპიონი" „მაღაროელია", რომელიც ორჯერ აღზევდა უმაღლეს ლიგაში ერთი წლით.

ასე რომ, პირველი ლიგის წლევანდელ ტრიუმფატორებს — ზუგდიდის „ლაზიკას", ოზურგეთის „მერცხალსა" და „მცხეთას" — სერიოზული გამოცდა ელით.

**ძახა შალამბერიძე**

### მუდმივი უმაღლესლიგელები

**დინამო** (თბილისი), **ტორპედო** (ქუთაისი), **კოლხეთი** (ფოთი), **ბათუმი**

### ერთწლიანი უმაღლესლიგელები

| | |
|---|---|
| ლიახვი (ცხინვალი) | 1990-91 |
| შუქურა (ქობულეთი) | 1993-94 |
| მაღაროელი (ჭიათურა) | 1993-94 |
| ეგრისი (სენაკი) | 1995-96 |
| მაღაროელი (ჭიათურა) | 1997-98 |
| თბილისი | 1999-2000 |
| ხობი | 1999-2000 |
| სამგურალი (წყალტუბო) | 2001-2002 |
| გურია (ლანჩხუთი) | 2001-2002 |
| მილანი (წნორი) | 2002-2003 |



ბადრი კეთილაძის ფოტო

„დინამოს" მსგავსად ფანკლუბი „ვიტ ჯორჯიასაც" ეყოლება

# ჯორჯიული ფანფანობა

**ჩვენში** დედაქალაქური კლუბები გულშემატკივართა სიმრავლით და მხურვალე ქომაგობით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან. ამ მხრივ მხოლოდ „დინამოა" გამონაკლისი, რომელმაც თავისი ფანკლუბი რა ხანია, ჩამოაყალიბა და იქ შეყრილი ახალგაზრდა ბიჭები შინ თუ გარეთ 90 წუთს შეუსვენებლად გაჰყვირიან. პერიფერიულ გუნდებს ამ მხრივ საქმე გაცილებით უკეთესად აქვთ, თუმც საყვარელი კლუბის გამხნევებას მხოლოდ საშინაო მატჩებში თუ ახერხებენ.

ხვალიდან კიდევ ერთი თბილისური კლუბი დაიტრაბახებს ფანკლუბით. დედაქალაქურმა „ვიტ ჯორჯიამ", რომელმაც სულ ახლახან მკერდი მეორე ტიტულით, ბრინჯაოთი დაიმშვენა, საკუთარი გულშემატკივრების შემოკრება და ერთ მუშტად გაერთიანება გადაწყვიტა. ხვალ, 3 საათზე, კლუბის ოფისში, თამარაშვილის ქუჩაზე 19 ნომერში რომ მდებარეობს, ფანკლუბის დამფუძნებელი კრება ჩატარდება. მსურველებს შეუძლიათ, მივიდნენ და თავიანთი მოსაზრება გამოთქვან. ახალგაზრდულ „ვიტ ჯორჯიას" შესაფერისი ფანკლუბი ნამდვილად დაამშვენებდა.

**მამუკა ძგანტალიანი**




ხოსეპ გვარდიოლა ლუის ბასატმა ისურვა...

# ფიგუს ეფექტი

## 15 წუთში ჩატეული 17 წელი

## გვარდიოლა ბარსელონაში ჩავიდა, ორშაბათს კუმანიც იქ იქნება

## და დევიდ ბექემი?

*იქითა კვირა დღეს „ბარსელონას“ 95 ათასი წევრი დილიდანვე შეესევა საარჩევნო ყუთებს. უეჭველია, რომ „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიული იქნება და კლუბის ხელმძღვანელობა მას ვერ გააყალბებს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „ბარსას“ დღეს, ფაქტობრივად, აღარც ჰყავს ხელმძღვანელობა.*

*თქვენ გაგიგიათ არჩევნები წინასაარჩევნო დაპირებების გარეშე? ჰოდა, ცხადია, რომ დიადი კატალონიური კლუბის პრეზიდენტობის მოსურნენი იმ 95 ათასი ამომრჩევლის გულებს ათასგვარი დაპირებებით აამებენ. და რას უნდა დაპირდეს კანდიდატი ფეხბურთის ქომაგს? ესეც ცხადია: მე თქვენ გიყიდით...*

აქ სამწერტილის ნაცვლად ბლომად გვარების ჩაწერა შეგვიძლია, თუმც თითქმის ყველა კანდიდატი ერთხმად მხოლოდ ერთ გვარს ასახელებს: დევიდ ბექემი.

ამ რამდენიმე დღის წინ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა და ფაქტობრივმა გამგებელმა ადრიანო გალიანიმ ბექემის თაობაზე ძალიან საინტერესო და ჭკვიანური რამ თქვა. დაასაბუთა, თუ რატომ ვერ მოხერხდება ამ ფეხბურთელის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ სადმე გადაყვანა.

კლუბის გარდა ბექემს პირადი კონტრაქტი მობილური კავშირგაბმულობის უმსხვილეს კომპანია „ვოდაფოუნთანაც“ აქვს. ამ კონტრაქტის თანახმად, თუ ბექემი კლუბს გამოიცვლის, „ვოდაფოუნის“ ადვოკატები შეთანხმებას გადასინჯავენ და ფეხბურთელს კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის უზარმაზარ ჯარიმას შეაწერენ. ბექემი გიჟი არაა, ეს ჯარიმა (მისი შემოსავლის პატრონისთვისაც გვარიანი თანხა) საკუთარი ჯიბიდან გადაიხადოს. ჰოდა, გამოდის, თუ რომელიმე კლუბი მის გადაყვანას მოინდომებს, გადასახდელი იქნება: უზარმაზარი თანხა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“, უზარმაზარი თანხა „ვოდაფოუნისთვის“ და უზარმაზარი ხელფასი თავად ბექემისთვის. კი, დევიდ ბექემი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ყველაფერი ანგარიშის საქმეა და ამხელა ფულს არც ერთი კლუბი არ გადაიხდის.

აი, ასეთია ადრიანო გალიანის მოსაზრება, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო.

მაგრამ კატალონიაში კარგად ახსოვთ ფიგუს ეფექტი, რომელმაც სამი წლის წინ ფლორენტინო პერესს „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები მოაგებინა. ეს ძალიან მიმზიდველი ეფექტია, რომელზეც „ბარსას“ პრეზიდენტობის კანდიდატები უარს ვერ ამბობენ.

გავიხსენოთ: „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებისას ორი კანდიდატი დაუპირისპირდა ერთმანეთს, იმჟამინდელი პრეზიდენტი ლორენსო სანსი და ფლორენტინო პერესი. სანსს დიდი გამარჯვებები უმაგრებდა ზურგს, ბოლო სამ წელიწადში ორჯერ მოეგო მოეგო ჩემპიონთა ლიგა, პერესი კი საფეხბურთო ბიზნესში ახალბედა იყო. და პერესმა, ერთადერთი დაპირებით: „მე თქვენ გიყიდით ფიგუს!“ ის არჩევნები მოიგო. მოკლედ, „მე თქვენ გიყიდით...“ ყველა პრეტენდენტისთვის მთავარი წინასაარჩევნო დაპირებაა.

ახლა ვნახოთ, ვინ ვის ჰპირდება ხალხს. თუმც ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატები ჩამოვთვალოთ: ხუან ლაპორტა, ლუის ბასატი, ხოსეპ მარია მინგუელა, ხაიმე ლაურადო, ხორდი კასასი, მარტინეს როვირა.

ახლა კი, ვინ რა დაპირებას იძლევა.

**ხუან ლაპორტა**: ის პირდაპირ ამბობს, ბექემს თუ ხელში ჩავიგდებ, ჩათვალეთ, რომ არჩევნები მოგებული მაქვსო. ირწმუნება, ჩემი ხალხი ლონდონში „მანჩესტერის“ თავმჯდომარე პიტერ კინიონს უკვე შეხვდა და 30 მილიონი გირვანქაც შევთავაზეთო. აღვნიშნოთ, რომ თავად კინიონს შეთავაზების თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

გარდა ამისა, ლაპორტამ ტიერი ანრიც ახსენა, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ფორვარდი „არსენალიდან“ წასვლას არ აპირებს.

**ლუის ბასატი**: მან უკვე გამოაცხადა, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევენ, „ბარსას“ სპორტული დირექტორი პეპ გვარდიოლა გახდება, ხოლო მწვრთნელად რონალდ კუმანს დანიშნავს.

**ხოსეპ მარია მინგუელა**: მან თქვა, რომ ოთხი მსოფლიო კლასის ფეხბურთელი ჰყავს შერჩეული, თუმც მათ ვინაობას საიდუმლოდ ინახავს. ორი ვარიანტია, ან კონკრეტულად არაფერი აქვს სათქმელი, ან ინტრიგის გამძაფრებას ცდილობს, რაზეც საეჭვოა, ხალხი წამოეგოს. ისე კი ამბობენ, ინკოგნიტო ფეხბურთელებში რუუდ ვან ნისტელროის, როი მაკაის, დევიდ ბექემს და ვინმე რეალელს გულისხმობსო.

**ხაიმე ლაურადო**: მას „აიაქსის“ კაპიტანი კრისტიან კივუ მონდომებია.

დანარჩენი პრეტენდენტები კი საინტერესოს არაფერს ამბობენ და შევეშვათ.

წინასაარჩევნო პროგნოზები ისეთია, რომ გამარჯვებას ლუის ბასატს უწინასწარმეტყველებენ. შეგახსენებთ, რომ ბასატი თავის დროზე ხოსეპ ლუის ნუნიესის პირველი კრიტიკოსი იყო. მერე ხუან გასპარს დაუწყო ლანძღვა და სამი წლის წინანდელ არჩევნებზე მეორე ადგილზე გავიდა. გარდა ამისა, ის ჩამოთვლილ კანდიდატთაგან ყველაზე ცნობილი კაცია, ყველაზე რეალური პროგრამაც აქვს, ანუ ხალხს იმას ჰპირდება, რისი გაკეთებაც შეუძლია. ამიტომ ჩვენც მთავარი ყურადღება ბასატის წინასაარჩევნო პროგრამას დავუთმოთ, იქამდე კი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს გავეცნოთ.

**ვის მისცემთ ხმას არჩევნებში?**

| | |
|---|---|
| ბასატი | 37,8 % |
| არავის | 35,6 % |
| ლაპორტა | 9,6 % |
| ლაურადო | 8,4 % |
| როვირა | 4,8 % |
| ბასატი ან ლაპორტა | 3,4 % |
| მინგუელა | 0,4 % |

**ვის არ მისცემდით არასდროს ხმას?**

| | |
|---|---|
| მინგუელა | 31,2 % |
| ლაურადო | 13,2 % |
| ბასატი | 11,4 % |

**თქვენი აზრით, ვინ მოიგებს არჩევნებს?**

| | |
|---|---|
| ბასატი | 63 % |

### გვარდიოლა

ახლა აღარ ახსენებენ, თორემ თავის დროზე თითქმის ყველა პრეზიდენტს სურდა თავის შტაბში დიდი კაპიტნის, ხოსეპ გვარდიოლას ხილვა.

„მე თავიდანვე ბასატისკენ გამიწია გულმა — თქვა ამის თაობაზე გვარდიოლამ — ამ გადაწყვეტილებით ალბათ ვიღაცეები გავალიზიანე კიდეც. მშვენიერი იქნებოდა, იმგვარი არჩევანი გამეკეთებინა, რომ არავის დასწყვეტოდა გული, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. მეუბნებოდნენ, პეპ, რატომ ჩქარობ, ჩატარდეს არჩევნები და ვინც მოიგებს, იმის ბანაკში მიდი, შენ უარს ვერავინ გეტყვისო. მე ასე არ შემიძლია. თუ „ბარსელონაში“ ვიმუშავებ, მინდა, რომ ხალხის მიერ ვიყო არჩეული. ახლა ვამბობ, ხალხო, მე ბასატთან ვარ და თუ გვენდობით, მას დაუჭირეთ მხარი“.

ეს განცხადება გვარდიოლამ ლუის ბასატის საარჩევნო შტაბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. თავად პრესკონფერენციისადმი ინტერესი კი უზარმაზარი გახლდათ. ერთი იმიტომ, რომ კატალონიაში გვარდიოლას ყოველ სიტყვას ისედაც უზარმაზარი ფასი აქვს, ამასთანავე, მას უკვე დღეს, არჩევნებამდე ცხრა დღით ადრე „ბარსას“ მომავალ სპორტულ დირექტორად მიიჩნევენ, სპორტული დირექტორი კი, მოგეხსენებათ, კლუბში ფაქტობრივად მეორე კაცია.

„ბარსელონაში“ გატარებული 17 წლიწადში დაგროვილი ცოდნა და პრინციპები გვარდიოლამ თავის მოკლე მოხსენებაში გადმოსცა, რომელმაც 15 წუთსა და 38 წამს გასტანა. მისი გამოსვლის მოკლე შინაარსი ასეთია:

— „ბარსამ“ მომცა ყველაფერი, რაც მაქვს, ამიტომ დღეს განზე გადგომა არ შემეძლო და აი, აქ ვარ. თუ ბასატი და მე არჩევნებს მოვიგებთ, უამრავ კარგ საქმეს გავაკეთებთ, მაგრამ „ბარსელონას“ წინაშე მუდამ ვალში ვიქნები.

— ამბობენ, რომ მე დირექტორობის გამოცდილება არ მაქვს. ასეა, მაგრამ განა მხოლოდ გამოცდილებაა საქმე, აქამდე კლუბს გამოუცდელი ხალხი მართავდა? მაშინ რატომ არის „ბარსა“ ასეთ შავ დღეში?

— გუნდს გამარჯვებულის ფსიქოლოგია უნდა დავუბრუნოთ. ის, რომ ხანდახან გუნდი ზედიზედ სამ თამაშს მოიგებს, არაფერს ნიშნავს. თავის მართლების პოლიტიკა უნდა დაიგმოს. დიდ გუნდს თავის მართლების უფლება არ აქვს და თუ იმართლებს, დიდი გუნდი აღარაა.

— შეიძლება თავდაუზოგავად იმუშავო და შედეგს მაინც ვერ მიაღწიო. მაგრამ თუ არ იმუშავებ, შედეგის მიღწევა გამორიცხულია. საკუთარი თავი უნდა დავარწმუნოთ, რომ დამარცხება წარმოუდგენელია. მაშინ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

— დამღუპველია იმის იმედად ყოფნა, რომ რომელიღაც ფეხბურთელმა ეგებ გაიბრწყინოს, ან ეგებ მწვრთნელმა ბოლო წუთზე შეცვლა გამოიცნოს. შემთხვევებზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ ეს ცხოვრების წესად არ უნდა გვექცეს.

— ჩვენ გუნდში მის თითოეულ წევრს ეცოდინება არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვების ფუნქციებიც.

— გვესმის, რომ ადრე თუ გვიან წასვლაც მოგვიწევს, მაგრამ წასვლამდე „კამპ ნოუს“ ბალახზე ისეთი ანაბეჭდი უნდა დავტოვოთ, რომელსაც ვერაფერი წაშლის.

ამის მერე გვარდიოლამ ზოგადი საუბარი წამოიწყო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს „ბარსას“ მომავალი მწვრთნელი, მაგრამ მოგეხსენებათ, ხალხს ყოველთვის კონკრეტული გვარების გაგება ურჩევნია, ამიტომაც ჟურნალისტებმა მას პირდაპირ ჰკითხეს, რონალდ კუმანის თვისებები ხომ არ ჩამოთვალეთო.

„კუმანი მაშინ მოვა „ბარსელონაში“, როცა თავად ჩათვლის საჭიროდ — თქვა გვარდიოლამ, მცირე პაუზა გააკეთა და დასძინა — ბოლო ხანს მასთან არ მისაუბრია, ამიტომ მისი პოზიცია არ ვიცი“.

### ამ დროს ამსტერდამში

გვარდიოლას და კუმანს ბოლო ხანს არ უსაუბრიათ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი ჭურში ზის. მას ერთი ჩვევა აქვს: ყოველ დილას ინტერნეტში დაძვრება და მისთვის საინტერესო ამბებს ეცნობა. მოკლედ, კუმანმა მშვენივრად იცის, რომ კატალონიაში მის სახელს მალიმალ ახსენებენ. არც კუმანისა და გვარდიოლას ძველისძველ მეგობრობაზეა საჭირო ბევრი ლაპარაკი: 1992 წელს მათ ერთად აღმართეს ჩემპიონთა თასი, რომელიც „ბარსამ“ დამატებით დროში, 112-ე წუთზე სწორედ კუმანის გოლის წყალობით მოიგო.

ახლა საქმეზე: გუშინ „აიაქსმა“ ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ოფიციალურად დაასრულა სეზონი. რონალდ კუმანი დღეიდან შვებულებაშია, რომლის ორ კვირასაც ის ოჯახთან ერთად ბარსელონაში გაატარებს, მეორე ორ კვირას კი პორტუგალიურ კურორტ ალგარკეში. ცნობისთვის: კუმანს ბარსელონაში საკუთარი სახლი აქვს, რომელიც ორი წლის წინ იყიდა. კუმანების ოჯახი ბარსელონაში ამ უქმეებზე ჩადის და, ცხადია, ბასატს და გვარდიოლასაც შეხვდება.

კუმანი სიტყვის კაცია და ადრევე თქვა, „აიაქსიდან“ მხოლოდ 2004 წელს, კონტრაქტის დასრულების შემდეგ წავალო. ის დღესაც ამ აზრზეა. მაშ, რას ემყარება ბასატისა და გვარდიოლას რწმენა, რომ ჰოლანდიელს გადაიბირებენ? თან აქ ერთი გარემოებაცაა. კონტრაქტის გამოსყიდვას თითქოს რა უნდა, აქაც ბექემის ასტრონომიულ თანხებზე ხომ არ არის ლაპარაკი, მაგრამ საქმე ისაა, რომ კუმანი თავის დროზე „აიაქსის“ პრეზიდენტს მიხაელ ვან პრააგს და სპორტულ დირექტორს ლეო ბეენჰაკერს დაპირებია, კონტრაქტის გასრულებამდე არ წავალო. სიტყვას შესრულება უნდა, კუმანი კი სწორედ სიტყვის კაცია.

მაგრამ, დახეთ, რა ხდება: ლეო ბეენჰაკერი ამ კვირაში გადადგა და სამუშაოდ მექსიკურ „ამერიკაში“ წავიდა, ხოლო ვან პრააგმა თქვა, ამ დღეებში მეც გადავდგებიო. ანუ ხალხი, რომლებსაც კუმანმა კაცური სიტყვა მისცა, „აიაქსში“ აღარ არიან, ახალ ხელმძღვანელობას კი, რომელიც ჯერ არც მოსულა, კუმანი არაფერს დაჰპირებია, ჰოდა...

ამსტერდამში იმასაც ამბობენ, „აიაქსის“ შემორჩენილმა გენერალურმა დირექტორმა არი ვან ეიდენმა უკვე დაიწყო ახალი მწვრთნელის ძებნაო.

**გიორგი დარჯანია**



–რონალდ კუმანი — გვარდიოლამ



# ანდრეი შევჩენკო: ჩემი ჯილდო ჩემი თასია!

*მანჩესტერული ფინალის ერთ-ერთი გმირი, „მილანის“ უკრაინელი სუპერვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო ახლა მშობლიურ კიევშია და ეროვნულ გუნდთან ერთა სათამაშოდ ემზადება. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სომხეთის ნაკრებთან.*

*შევა ისტორიაში შევა! შევჩენკომ ევროპის ჩემპიონთა თასი კიევში ჩაიტანა, ჩაიტანა და ბორისპოლის აეროპორტიდან პირდაპირ „დინამოს“ სტადიონისკენ გაეშურა, თასი დიდი მასწავლებლის, ვალერი ლობანოვსკის ქანდაკებასთან აწია, ჩემპიონთა თასის მოპოვება ვალერი ვასილიევიჩისთვის მთელი ცხოვრება სანუკვარი ოცნება ყოფილა. ანდრეის სამშობლოში დაბრუნებამ, ცხადია, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კონჩა-ზასპაში, სადაც უკრაინის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ საწვრთნელი ცენტრია, უამრავ ჟურნალისტს მოეყარა თავი. პრესკონფერენციის დაწყებამდე აკი გაეხუმრა კიდეც შევა მედიელების, ფინალის შემდეგ მობილური სპეციალურად გამოვრთე, ვიცოდი, რომ დამხვდებოდით. დიდი მადლობა მობრძანებისთვის, ასე უფრო თავისუფლად ვისაუბრებთო.*

*და შევჩენკოს „დაცხრილვაც“ დაიწყო...*

**— როგორ მოახერხეთ ჩემპიონთა თასის კიევში ჩამოტანა, „მილანმა“ მარტოს განდოთ, ძნელი იყო კლუბის ხელმძღვანელთა დაყოლიება?**

— გულწრფელად გეტყვით, არა! „მილანის“ თავკაცებმა მშვენივრად იციან უკრაინელ ქომაგთა დამოკიდებულება, სიყვარული „მილანისა“ თუ პირადად ჩემდამი და სურვილსაც გაგებით მოეკიდნენ.

**— რამდენი ლიტრი შამპანური ჩადის თასში?**

— არ ვიცი, არც დავკვირვებივარ. ფინალის შემდეგ ყველანი ისეთი დაღლილები და გახარებულები ვიყავით, ექსპერიმენტისთვის არ გვეცალა. ბერლუსკონიმ თასი პირადად შეავსო და გამარჯვების აღსანიშნავად სიმბოლურად ყველამ მოვწრუპეთ. მერე სულ ცოტა, ერთი საათი დავისვენე, დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი. გამოგიტყდებით, ზეიმი უფრო ძნელი და დამღლელი ყოფილა, ვიდრე თამაში. მეხუთე დღეა, რაც ნორმალურად არ მძინია, იმიტომ კი არა, რომ გვიან ვწვები, ემოციები ვერ დავაცხრე.

**— უკრაინაში ფინალის გმირად ყველას თქვენ მიაჩნიხართ, „მილანშიც“ ასეა?**

— ვფიქრობ, არაა საჭირო გამორჩევა, ჩემპიონთა თასი ყველამ, ერთ მუშტად შეკრულმა გუნდმა მოიგო. რამდენიმეწლიანი მუხლჩაუხრელი შრომით დასახული მიზნის მისაღწევად მივილტვოდით, ჩემპიონთა თასი ჩვენი ოცნება იყო. ცხადია, ყველას თავისი წილი უდევს წარმატებაში, მაგრამ მთლიანობაში გუნდურმა სულისკვეთებამ განაპირობა გამარჯვება.

**— როგორ გგონიათ, ვინ უფრო გაიხარა თქვენი წარმატებით?**

— ალბათ, ყველამ. უპირველესად, სრულიად უკრაინამ. ვიცი, რომ ყველას ძალიან ვუყვარვარ და ბევრი გულშემატკივარიც მყავს. ქვეყანამ გაიხარა და, ცხადია, ჩემებმაც გაიხარეს — მშობლებმა, ოჯახმა, ახლობელ-ნათესავებმა.

**— „ოლდ ტრეფორდზე“ მამათქვენიც იყო...**

— დიახ, მთელი ოჯახი დავპატიჟე — დედაჩემი, ჩემი და, ნათესავები. ამასთანავე ტრიბუნაზე ჩემი შეყვარებული იჯდა მამამისთან ერთად, იყო ბავშვობის მეგობარიც.

**— პენალტის დარტყმამდე გჯეროდათ, რომ აუცილებლად გაიტანდით?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი. სანამ დავარტყამდი, მანამდე უკვე მოფიქრებული მქონდა, ბუფონი როგორ გამეცურებინა. ბოლო თერთმეტმეტრიანის შესრულება პირადად ვთხოვე თანაგუნდელებს. ღმერთის მჯეროდა, მისი რწმენა დამეხმარა.

**— და გაიტანეთ, რეაქცია?**

— გულწრფელად გეტყვით, პირველი ათი წუთით ყველაფერი დამავიწყდა, არაფერი მახსოვს. აზრზე რომ მოვედი, გავათვიცნობიერე, რაც მოხდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგე — ეს არის გზა და მწვერვალი, რომლისკენაც ბავშვობიდან მივდიოდი.

**— ჩემპიონთა თასი მოიგეთ და ემოციებისგან, როგორც ამბობთ, ჯერ ვერ დაიცალეთ. ეს ხელს ხომ არ შეგიშლით სომხებთან და ბერძნებთან სანაკრებო მატჩებისთვის სათანადოდ მოემზადოთ?**

— კარგზე მოვრჩით და უკვე ცუდზე გადადიხართ? სტიმული რომ არ მქონდეს, ნაკრებში საერთოდ არ ჩამოვიდოდი, ვიტყოდი გულახდილად, სათამაშოდ მზად არ ვარ და ნუ გამომიძახებთ-მეთქი, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ. ანდრეი შევჩენკო უკრაინელია და ნაკრებიც მუდამ პრიორიტეტული იქნება მისთვის. სომხებთანაც, ბერძნებთანაც და ყველასთან სათანადოდ მოვემზადები და ისე ვითამაშებ. მჯერა, ემოციები უფრო დამეხმარება.

**— ფინალის შემდეგ გამარჯვებას უკრაინის დროშაშემოხვეული ზეიმობდით...**

— დასრულებისთანავე მოვითხოვე, ლურჯ-ყვითელი დროშა მოეტანათ, ვიცოდი, მთელი უკრაინა მიყურებდა, ჩემთან ერთად განიცდიდნენ ყოველივეს. გამარჯვება მარტო ჩემი როდია. 28 მაისს მანჩესტერში უკრაინამ გაიმარჯვა და ეს ძალიან მეამაყება.

**— თასი რამდენ ხანს დარჩება კიევში?**

— მას ლვოვიც ნახავს და ჩემი სოფელი დვირკივშჩინაც. ჩემთვის ეს ყოველივე უკვე ისტორიაა, ჩემპიონთა თასი ცხონებული ვალერი ლობანოვსკისთვის, თქვენთვის, გულშემატკივრისთვის და უკრაინისთვის ჩამოვიტანე.

**— ალბათ, „მილანის“ ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე დაგასაჩუქრათ, ანაც მატერიალურადაც წაგახალისათ...**

— მე ფულზე არ ვთამაშობ და არც მაინტერესებს, დაგვასაჩუქრებენ თუ გარკვეული თანხით დაგვაჯილდოვებენ. ჩემი ჯილდო აი, ეს თასია!

**— ჩემპიონთა თასის კიევში ჩამოტანის იდეა თქვენი იყო?**

— ცხადია, ჯერ კიდევ მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდის“ გასახდელში მივედი ადრიანო გალიანისთან და ვთხოვე, თუ არის შესაძლებელი, რამდენიმე დღით თასი სამშობლოში წავიღო, ჩემს თანამემამულეებთანაც გავიხარებ-მეთქი. გალიანიმ გაიღიმა და ხუმრობით მითხრა, ვნახოთ, თუ არ დაკარგავ, გაგატანთო. მერე კი სერიოზულად დაავყოლა, როგორ არა, შენ ეს დაიმსახურეო.

**— რომელი ბუცებით ითამაშეთ ფინალი?**

— ჩვეულებრივით, „ადიდასით“.

**— და ალბათ, სამახსოვროდაც შეინახეთ...**

— არა, ლვოვში სომხეთის ნაკრებთან თუ მათამაშეს, სწორედ მას ჩავიცმევ.

**— მაისურა შეინახეთ?**

— ცხადია, ეგ ხომ რელიქვიაა.

**— და არც არავის აჩუქებთ?**

— არა. მქონდა ორი. ერთი, რომლითაც ფინალი მოვიგეთ, შევინახე, მეორე კი სილვიო ბერლუსკონის უმცროს ვაჟს, პიერსილვიოს ვუსახსოვრე.

**— ჩემპიონთა ლიგის მერე იტალიის თასი მოიგეთ. წინ კიდევ ბევრი ტიტულისკენ ბრძოლები გელით. ალბათ, სტიმულიც გაქვთ და „მილანს“ არ დატოვებთ...**

— რა თქმა უნდა, „მილანის“ უდიდესი მადლიერი ვარ. მან სახელი, პატივისცემა, ქომაგთა, ქალაქის სიყვარული და ტიტულები მომიტანა. ერთადერთი, გაზეთებს გადავყავარ სხვა გუნდში.

**— თქვენამდე პენალტი ალესანდრო დელ პიერომ დაარტყა, რომ ვერ გაეტანა, „მილანი“ ჩემპიონთა თასს მაშინვე მოიგებდა. გქონდათ სურვილი, რომ დელ პიეროს გაეცუდებინა?**

— სანამ ალექსი დაარტყამდა, ვიფიქრე, ნეტავ, ვერ გაიტანოს-მეთქი. ამ დროს ნებისმიერს ერთი სული ჰქონდა, ეს კოშმარული პენალტები დასრულებულიყო, ჩვენ ხომ საერთო და დიდ გამარჯვებას მოვიპოვებდით.

**— მატჩის დებიუტში კი მსაჯმა თქვენი გოლი არ ჩათვალა...**

— უმძიმესი დარტყმა მივიღე, ასე მეგონა, გული ამომგლიჯეს. მას მერე ვიდეოფირზე ბევრჯერ ვნახე ის მომენტი, ეჭვიც არ მეპარება, რომ გოლი წესების სრული დაცვით გავიდა, რუი კოშტა იმ ეპიზოდში ბუფონზე არანაირ ზეწოლას არ ახდენდა. მსაჯისთვის ძნელი იყო, წამის მეასედში ზუსტად დაეფიქსირებინა, იყო თუ არა ოფსაიდი.

**— არც ტელევიზიით ჩანდით და არც სააგენტოების მიერ გავრცელებული ფოტოები გვინახავს — მოზეიმე შევჩენკო თასით ხელში...**

— არ ვარ თასომანი და არც თავი გამიგიჟებია, გინდათ თუ არა, თასთან მიმიშვით, ვეამბორო-მეთქი. უმთავრესად საკუთარი საქმის პროფესიულად და სრული პასუხისმგებლობით კეთება მიმაჩნია.

**— „მილანის“ სხვა ლეგიონერებმა თუ გამოთქვეს ჩემპიონთა თასის თავიანთ ქვეყნებში ჩატანის სურვილი?**

— თუ მოისურვებენ, ალბათ, ხელმძღვანელობა არც მათ ეტყვის უარს. მაგალითად, მილანში რომ დავბრუნდით, მასიმო ამბროზინიმ თასი შინ წაიღო, ორი დღე მასთან იყო და სიხარულისგან გაგიჟებული ყვიროდა, თასი ჩემია, თასი ჩემიაო.

**გიორგი გუზაძიძე**

Copa Toyota Libertadores 2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### ნახევარფინალი. 1 მატჩი

**სანტოსი (ბრაზილია) 1:0 ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)**

1:0 ნენე (67)

სანტოსი: ფაბიო კოსტა, ველინგტონი (ნენე 57), პერეირა, ალექსი, ლეო, პაულუ ალმეიდა, რენატო, დიეგუ, ელანო, რობინიო, ფაბიანო

ინდეპენდიენტე მედელინი: დ. გონსალესი, ბალოი, კალე, პერეა, ვ. ვასკესი, რესტრეპო, ხარამილიო, რ. კორტესი, მონტოია (კ. ალვარესი 76), მ. მოლინა (ხ. სერნა 68), ტ. მორენო

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

20 000 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 18 ივნისს*



REUTERS

ფაბიანოსთან და რობინიოსთან მებრძოლი დავიდ გონსალესი კოლუმბიელთაგან ერთადერთი იყო, ვინაც ნაღდად თამაშობდა

# სამართლიანი გამარჯვება უსამართლო ანგარიშით

სადაც სამართალია, „სანტოსს“ ხუთი ბურთი მაინც უნდა გაეტანა და პირველივე მატჩის შემდეგ მოეთავებინა „ინდეპენდიენტე მედელინის“ საქმე. ასე კი, ერთბურთიანი უპირატესობა ბრაზილიელებს გამორჩეულ უპირატესობას ვერ აძლევს. საპასუხო მატჩი 18 ივნისს, მედელინში გაიმართება.

პირველ ტაიმში სანტოსელებმა იმდენი მომენტი გააფუჭეს, სამ თამაშს ეყოფოდა. რომელი ერთი ვახსენოთ. ყველაზე გამორჩეული ის იყო, ელანომ ორი მეტრიდან ცარიელ კარს რომ ააცილა. გარდა ამისა, რობინიოს და დიეგუს დარტყმულები კოლუმბიელთა მეკარე დავიდ გონსალესმა ორჯერ ზედ კარის ხაზზე მოიგერია. კიდევ რამდენჯერმე, კარისკენ მიმავალი ბურთი მეკარეს უბრალოდ მოხვდა. ერთხელ ნენემ ხარიხას გაარტყა. თუმც ჩამოთვლა კმარა. ისლა დავძინოთ, რომ „სანტოსმა“ ჯამში 22 მარტო საჯარიმო დაარტყა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: და რას აკეთებდნენ ამ დროს კოლუმბიელები? მოგახსენებთ, რომ პირველ ტაიმში თავს იცავდნენ და უხეშობდნენ, ხოლო მეორე ტაიმში — თავს იცავდნენ, უხეშობდნენ და დრო გაჰყავდათ. საბოლოოდ მათ ხუთი ფეხბურთელი გაუყვითლეს.

ბოლოს, როგორც იქნა, „სანტოსმა“ ნანატრი გოლი გაიტანა, რამაც მედელინელებს აურზაურის მორიგი საბაბი მისცა. ამჯერად არბიტრს შემოეხვივნენ და სრულიად გაუგებარი არგუმენტებით უმტკიცებდნენ, გოლი არ უნდა ჩაგვეთვალაო.

**გიორგი დარჯანია**


## სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15





„კარგი“ გერმანელები, რუდი ფიოლერი და მიხაელ ბალაკი „ცუდ“ გერმანელ ბერტი ფოგტსს ხვალ ესტუმრებიან

# ხალხის მტერს ამაყი და ვნებიანი ხალხი ჰყავს

## ფოგთსი — ფიოლერი ხვალ იწყება

**შაბათს** ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩებია, მთავარი ჯახი გლაზგოს „ჰემპდენზე“ უნდა შედგეს — ბერტი ფოგთსის შოტლანდია რუდი ფიოლერის გერმანიის წინააღმდეგ.

ფოგთსი, როგორც „ხალხის მტერი“, ისე წავიდა ბუნდესნაკრებიდან 1998 წლის მუნდიალის შემდეგ. აქ ცხადია, ფოგთსი-მწვრთნელი იგულისხმება, თუმც ბერტი როგორც ნაკრების მოთამაშეც, ცუდად დაემშვიდობა გუნდს — 1978 წელს არგენტინაში ეს ერთ-ერთი უსუსტესი იყო ჰელმუტ შიონის „ნაციონალმანშაფტში“.

ფიოლერი კი გერმანიაში უყვარდათ და უყვართ. „ჩვენი მიზანი ნათელია, გლაზგოში უნდა მოვიგოთ — იქადნება რუდი, რომელსაც ნაკრებში ფოგთსის მწვრთნელობის დროსაც უთამაშია 1992-94 წლებში

„ამ მატჩში გამარჯვებით იდეალურ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, ხოლო წაგებით ჩვენი ჯგუფიდან გასვლა საეჭვო გახდება. ეს ყველაფერი კარგია, რადგან სწორედ ასეთი სახის ზეწოლა გვჭირდება“ — ამბობს ფიოლერი.

გერმანია ჯგუფს ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით ლიდერობს, თორემ შოტლანდიას და ლიტვასაც შვიდი ქულა აქვთ, თუმც ერთი და ორი მატჩით მეტი უთამაშიათ.

როგორც გერმანიაში ვარაუდობენ, ფიოლერი 3-5-2 სქემით ითამაშებს. დაცვას არნე ფრიდრიხი, კარსტენ რამელო და კრისტიან ვიორნსი გაამაგრებენ, ნახევარდაცვაში მთავარი კაცი რა თქმა უნდა, მიხაელ ბალაკი იქნება, თავდასხმაში კი მიროსლავ კლოზე და ფრედი ბობიჩი გაირჯებიან — ასე ჰგონიათ გერმანელ ექსპერტებს.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი კი დასძენს: „შოტლანდიის წინააღმდეგ თამაში ყველაზე მძაფრსიუჟეტიანი იქნება ჯგუფში. შოტლანდია ამაყად და ვნებით ითამაშებს“.

**დავით თავართქილაძე**

# ბებერი ქალბატონი დახლთან

## ვაჭრობა დაიწყო



ბერნარდო კორადი

**იტალიის** ჩემპიონატი დასრულდა, სატრანსფერო სეზონი კი ნელნელა ხურდება. სკუდეტოს მფლობელი ტურინის „იუვენტუსი“ შიდა საფეხბურთო ბაზრის დახლებს მიადგა. ტურინელებმა პირველ რიგში რომის „ლაციოს“ მიაკითხეს. ლაციოელთა ფინანსური სიდუხჭირის ამბავი ცნობილია. ყოფილმა პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ კლუბს ვალები ჩააბუტა და მოძუძგა. რომაელებს სალაროს შესავსებად ფული სჭირდებათ. საამისოდ კი ფეხბურთელების გაყიდვა მოუწევთ.

„იუვენტუსის“ ბოსებს ბერნარდო კორადი, სტეფანო ფიორე და იაპ სტამი სურთ. სანაცვლოდ „ლაციო“ ფულს, მარკო დი ვაიოს და ორიდან ერთ ფეხბურთელს, ემანუელე ბლაზის ან ენცო მარესკას ითხოვს.

„იუვე“ კორადით მას მერე დაინტერესდა, რაც ეს ფეხბურთელი იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა აძურას“ რეგულარულ წევრად აქცია. მან ბოლო ოთხ სანაკრებო შეხვედრაში ორი გოლიც გაიტანა და ტურინელთა აზრით, მათ ფრანგ თავდამსხმელს, დავიდ ტრეზეგეს დიდებულად შეუწყვილდება. ამას დაამატეთ ისიც, რომ ყოფილი კიევოელი სეზონის ბოლოს ისედაც სტოვებდა რომაულ კლუბს, ვინაიდან შეთავაზებულ ახლებურ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა — ზემოთაც ვთქვით, „ლაციოს“ ფინანსურად უჭირს და ახლებურ კონტრაქტებში შემცირებული ხელფასები აქვს ჩაწერილი.

თავიდან „ბებერი ქალბატონის“ ვარიანტი ასეთი იყო: ბერნარდო კორადისა და სტეფანო ფიორეს მაგიერ ტურინელები „ლაციოს“ მარკო დი ვაიოს და მარკ იულიანოს სთავაზობდნენ. რომაელებმა მობერებული იულიანო არ ისურვეს, ახალგაზრდა კაცი გვჭირდებაო.

რაც შეეხება იაპ სტამს, მან ადრევე განაცხადა, ჯამაგირს დროზე თუ არ მომცემთ, გუნდიდან წავალო. ჰოლანდიელს „ლაციო“ იაფად არ დათმობს, რადგან მას „იუვენტუსის“ გარდა სხვა ევროპელი ბობოლებიც ეკურკურებიან. სტამს ხელფასის ნაცვლად კლუბის აქციები „შეაპარეს“, მაგრამ ფეხბურთელმა თქვა, მალაზიაში აქციებით ვერ შევალო.

ჯამაგირი არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმაც მოითხოვა. კლუბს მისი ერთი მილიონი ევრო მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქტი ავტომატურად გაუქმდება და ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება. „კლაუდიოს ხუთი თვის ხელფასი არ მიუღია. არ მინდა, რომ მასაც ერნან კრესპოს ბედი ეწიოს, რომელიც კუთვნილს წელიწადნახევარი ელოდებოდა“ — თქვა ლოპესის აგენტმა ფერნანდო იდალგომ.

რომაელებმა ჯერჯერობით მხოლოდ დეიან სტანკოვიჩის დაყაბულება შეძლეს. სერბმა ლეგიონერმა „ლაციოში“ დარჩენა გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურება გვარიანად შეუმცირეს.

„ბოლონიაში“ გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ „ლაციოს“ 35 წლის ფორვარდი ჯუზეპე სინიორი დაუბრუნდა. იგი ბოლონიელებს 120 მატჩში 61 გოლით შეეწია, მაგრამ შარშან ტრავმებისგან გაიტანჯა და უმეტესწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „ბეპე“ ბოლონიელებს ახალი კონტრაქტის თაობაზე ვერ შეუთანხმდა და რომაელებს ჯერჯერობით ერთი წლით შეუერთდა.

**ვაჟა ხუციშვილი**




სტეფანო ფიორე

# ფული გაიღე და შაში მოვა

## მორატი მონტელას ეპატიჟება

ვინჩენცო მონტელას ყიდვა ყველაზე თვალნათლივ „ინტერს“ სურს, მონტელა კი „რომამ“ გასაყიდად ოთხშაბათს „გაიყვანა“. რომაელთა დირექტორმა, ფრანკო ბალდინიმ განაცხადა:

„თუ მონტელას, მარკო დელვეკიოს ან რომელიმე სხვა ფეხბურთელის გაყიდვა იმდენ ფულს მოგვიტანს, რომ მაღალი დონის ფეხბურთელი შევიძინოთ, შემოთავაზებაზე უარს არ ვიტყვით“.

„ინტერს“ მონტელა ყოველთვის აინტერესებდა და, როგორც ირკვევა, თავადაც ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც „რომას“ გამოადგებიან. ამბობენ, რომ „შავ-ლურჯთა“ პრეზიდენტი, მასიმო მორატი თანახმაა რომაელის სანაცვლოდ სტეფან დალმას ან ივან კორდობას შეელიოს“.

თუ „ინტერი“ მონტელას იყიდის, „პარმა“ კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებს ადრიანოს გოლებით გამოწვეულ სიამოვნებას — ბრაზილიელი ორივე გუნდს ეკუთვნის, თუმცა „პარმაში“ მიიჩნევენ, რომ მისთვის სანახევროდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ისევ მათ ძირითად შემადგენლობაში დარჩენა გაცილებით სჯობს.

„ინტერთან“ დაკავშირებით კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მას უფასოდ ეძლევა „გალათასარაის“ აწ უკვე ყოფილი მოთამაშე, თავისუფალი აგენტი ჰასან შაში, ოღონდ ეგაა, მილანელთა მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს „აიაქსიდან“ ენდი ვან დერ მეიდეს ან „ვალენსიადან“ კილი გონსალესის წამოყვანა უჯობს. აქვე აღსანიშნავია, რომ გონსალესს „ვალენსიას“ თავკაცთან, რაფაელ ბენიტესთან საკმაოდ გართულებული ურთიერთობები აქვს.

როგორც კილი გონსალესის, ასევე ვან დერ მეიდეს სატრანსფერო ღირებულება 10 მილიონი ევროა.

დავძინოთ, რომ კუპერი ამ ზაფხულზე კარლოს გამარას, გულის და ნელსონ ვივასის გაყიდვას უეჭველად აპირებს, ხოლო სერჟიო კონსეისაუს, დომენიკო მორფეოს და ოკანის თაობაზე გააჩნია ვინ რას შესთავაზებს.

**ბაჩუნა ძიდია**



ივან კორდობამ (№2) და ვინჩენცო მონტელამ, შესაძლოა, კლუბები გაცვალონ

# რობერტო ბაჯოს ახალი მწვრთნელი

**„მოდენას“** ყოფილმა მწვთნელმა ჯანი დე ბიასიმ, დაადასტურა, რომ ხვალ დილით „ბრეშასთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

„ბედნიერი ვარ, რომ ახალ სიმაღლეებზე მოვსინჯავ ძალას. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ კვლავ „ბრეშაში“ ვბრუნდები“ — განაცხადა სპეციალისტმა, რომელიც ფეხბურთელობისას „ბრეშაში“ გამოდიოდა, მაგრამ ყველაზე მეტად სახელი „მოდენას“ სათავეში დგომამ და გუნდის ქვედა ლიგებიდან ორგზის შეუსვენებელმა აღზევებამ გაუთქვა.

„ბრეშას“ ამბავი კი მოგეხსენებათ, გუნდი ერთი კვირის წინ ცნობილმა და წარმატებულმა კარლო მაცონემ დასტოვა.

დე ბიასი ამბობს: „განსაკუთრებით ის მხიბლავს, რომ რობერტო ბაჯოს დონის ვარსკვლავთან ვიმუშავებ“.

იგი ცნობილია, როგორც შემტევი ფეხბურთის მოყვარული კაცი, „ბრეშას“ გაძღოლა კი მას ამთავითვე მოუწევს, რადგან გუნდი ინტერტოტოს თასზეა გასული.

„ჩვენ ყველა სხვა გუნდზე ადრე ვიწყებთ სეზონს“ — განმარტავს მწვრთნელი, — რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრ ჩემს მოთამაშეს თავის გამოჩენის შანსი ახლავე მიეცემა“.

დე ბიასიმ „მოდენა“ სერია C-დან სერია A-ში აღაზევა და გასულ სეზონში იქაც ადგილი შეანარჩუნებინა იღბლად, პლეი-ოფს გადარჩა — მოგეხსენებათ პლეი-ოფში ერთმანეთს „ატალანტა“ და „რეჯინა“ დაუპირისპირდნენ.



ჯანი დე ბიასი

„მომავალ სეზონში ჩემი ამოცანა სერია A-ში კიდევ ერთხელ ყოჩაღობა და „მოდენასგან“ განსხვავებით გასავარდნთა ზონისთვის თავის მყარად აცილება იქნება“ — აღიარებს ის.

**ბაჩუნა ძიდია**



დიეგო ფორლანი ჭერაც ბავშვია, თავისით ვერ იცვამს

# ჰიტ-ხითხითი

**პრემიერლიგის** ჩემპიონის გულშემატკივრებს საქმე მოსალხენად აქვთ. „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგებმა კლუბის ვებ-გვერდზე გამოკითხვა მოაწყვეს. ფანებს გასული სეზონის ყველაზე სახალისო-სასაცილო ეპიზოდი უნდა გამოერკვიათ.

მრავალი ღილაკის წკაპაწკუპით სამი ამბავი დაწინაურდა. პირველ ადგილზე დიეგო ფორლანი გავიდა. ურუგვაელმა „საუთჰემპტონთან" გატანილი გოლით ისე გაიხარა, რომ მაისურა გაიძრო, გაიძრო და ვეღარ ჩაიცვა. მატჩი განახლდა, ფორლანი კი ზედა სამოსში აიბლანდა. მსაჯმა თამაში არ შეაჩერა და ფეხბურთელმა გვარიანად იწვალა.

მეორე ადგილზე ირჟი დუდეკია. „ლივერპულის" მეკარემ „მანჩესტერთან" მატჩში ფორლანის დარტყმული ბურთი მკერდში უშნოდ ჩაიხუტა, საიდანაც დაუსხლტა და კარში შეგორდა.

მესამე პოზიცია სერ ალექს ფერგიუსონისგან ნასროლი ბუცის ამბავს ერგო. „არსენალთან" მარცხისგან გამწარებულმა შოტლანდიელმა დევიდ ბექჰემს წარბი რომ გაუხეთქა, გეხსომებათ. მაშინ თურმე მატჩის შემდეგ „მეთოფე" ეშლი კოული მანჩესტერელთა გასახდელს რიო ფერდინანდის სანახავად მისდგომია. ფერდინანდს უთქვამს, შემოსვლა არ გაბედო, ფერგიუსონი გაცოფდაო. ბუცის სროლამდე კი აი, რა მომხდარა: შოტლანდიელს დევიდ ბექჰემის ლანძღვით გული რომ უჯერებია, ბოლოს მიუძახებია: „ეშლი კოულმა იდიოტივით გაგაბითურა!", რაზეც ბექჰემს იგივე მიუგია, ოღონდ კოულის ნაცვლად წინადადებაში არსენ ვენგერი ჩაუსვამს.

**გაჟა ხუციშვილი**

# სიტიმ ზარბაზანი იყიდა



მიხაელ ტარნატი

**დევიდ სიმენის** შეძენის შემდეგ კევინ კიგანს და „მანჩესტერ სიტის" მადა გაეხსნათ. შემოდგომიდან „მეინ როუდზე" მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი მოთამაშე მიხაელ ტარნატიც გამოჩნდება. ინგლისურმა კლუბმა გერმანელთან ერთწლიან კონტრაქტი გააფორმა და ტარნატი თავისი მძლავრი ფეხით მანჩესტერელთა ნახევარდაცვას შეეწევა.

„სიტის" ბოსებმა გასულ ზამთარს „მარსელიდან" ალჟირელი ჯამელ ბელმადი სეზონის ბოლომდე ითხოვს. ბელმადი ძირითად შემადგენლობაში ოდენ შვიდჯერ მოხვდა და იგი კვლავ მარსელს დაუბრუნდება. ალჟირელმა კევინ კიგანს თავი ვერ მოაწონა.

„მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი სტიუარტ პირსმა გაახანგრძლივა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა კარიერა თავის დროზე „მეინ როუდზე" დაასრულა და მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. პირსი ამჯერადაც იგივე საქმეს შეასრულებს. იგი კიგანს დაეხმარება და მცველებს პერსონალურად ავარჯიშებს, იმავდროულად კი კლუბის საფეხბურთო აკადემიაში მომავალ თაობას დამოძღვრავს.

**გაჟა ხუციშვილი**

# პეტრე-პავლობა კატალონიაში

საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვისას ფრანგები „რენის" ჩეხ მეკარეს პეტრ ჩეხს ყოველთვის განსაკუთრებით გამოარჩევდნენ. სეზონის შუაში გუნდში ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის მისვლამდე, შეიძლება ითქვას, რენელთა ერთადერთი იმედი სწორედ მეკარე იყო. მას არაერთხელ გადაურჩენია თანაგუნდელები დიდი ანგარიშით მარცხისგან. ბოსნიელი მწვრთნელის ძალისხმევით „რენმა" პეტრ ჩეხთან ერთად პირველ დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა.

„ბარსელონას" სწორედ ამ მეკარის შეძენა სურს, ჩეხი 21 წლისაა და ნაკრებში კი 11-ჯერ უთამაშია.

პეტრ ჩეხის აგენტი პაველ ჟიკა კატალონიას უკვე ესტუმრა და იქაურებს სავარაუდო ტრანსფერზე, ძირითადად თანხაზე ესაუბრა. თავად მეკარემ თქვა: „ჩემი აგენტი ბარსელონაში იყო და იქაურებს შეხვდა. როგორ დამთავრდება ეს საქმე, არ ვიცი. „ბარსელონიდან" „რენის" პრეზიდენტს რომ დაუკავშირდებიან, ყველაფერი მაშინ გაირკვევა. თავად „ბარსელონა" კი, რა თქმა უნდა, მდიდარი ისტორიით და მრავალი ჯილდოთი მსოფლიოს უპოპულარულესი კლუბია. მე სიამოვნებით ვითამაშებდი „კამპ ნოუზე"."



პეტერ ჩეხი

**გაჟა ხუციშვილი**


## სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


# ADIOS, ABELARDO

დრო კაცთა მოდგმისთვის ჭეშმარიტად გადაულახავ-მიუღწეველი ბარიერია. ყოველივე მიწიერს თავისი დასასრული გააჩნია და 1989 წლის ერთ მშვენიერ დღეს ასტურიის მკვიდრი, ვინმე აბელარდო ფერნანდესი მოკრძალებულ ხიხონის „სპორტინგში" კარიერას რომ იწყებდა, ყმაწვილურ გონებაში ალბათ იმასაც გაიფიქრებდა — ადრე თუ გვიან ფეხბურთთან გამოთხოვებაც მომიწევსო. ეს ადრე თუ გვიან, 14-წლიანი დიდებული ბურთაობის შემდეგ, 2003 წლის 5 მაისს აღსრულდა.

პრიმერადივიზიონის ორგზის ჩემპიონი, ორგზის სამეფო თასის მფლობელი, ერთხელ ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული. 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი. პრიმერადივიზიონის 393 შეხვედრა და 25 გოლი. ესპანეთის ნაკრებში 54 მატჩი.

აი, ხიხონელი ბიჭის საფეხბურთო ისტორია. ხიხონის შემდეგ აბელარდოს ცხოვრებაში ბარსელონური ერა იწყება, რომელიც 1994-2002 წლებში გაგრძელდა და ზემოხსენებული საპატიო ჯილდოებით აღინიშნა. დასაწყისში დრო ვახსენეთ და გეტყვით, რომ აბელარდომ ისტორიის შეუბრალებელ წამმზომზე თავისებური რევანშიც იზეიმა — ვერარა დრო ვერ წაშლის კატალონიელი თუ არაკატალონიელი ინჩასას გულში გაუტეხელი ასტურიელი მცველის დამსახურებას ესპანური ფეხბურთის წინაშე. „30 ივნისის დიდ ფეხბურთთან გამოთხოვებას ვაპირებ"



— განაცხადა ამჟამად ალავესელმა აბელარდომ. ეს ბასკური გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მე-19 ადგილზეა და სეგუნდადივიზიონს ვერაფრით ასცდება. თავად ასტურიელის გამოსათხოვარ სიტყვებში „ალავესის" ბედის გამო გულისტკივილი იგრძნობა. „14 წელი ვიყავი პროფესიონალი ფეხბურთელი და ამ ხნის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიხარულიც იყო და ბევრი მწუხარებაც, ისეთივე, როგორიც მაშინ ვიგრძენი, როდესაც „ალავესი" პრიმერადივიზიონში ვერ შევინარჩუნეთ" — უთხრა ექსბარსელონელმა ესპანურ მედიას და ხელიც აბელარდოსებრ, ღირსეულად ჩაიქნია.

ADIOS, ABELARDO!

**ლადო ხომერიკი**



# აბა, დიპლომი მაჩვენე! ინჟინერი ხარ, სანტუშ?

**ლისაბონის** „სპორტინგმა" ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა. მოკლედ, „სპორტინგის" რუმინელმა მწვრთნელმა ლასლო ბოლონიმ სეზონი ცუდი შედეგით დაასრულა. უმთავრეს მოქიშპეებს, „პორტუს" და „ბენფიკას" გვარიანი სხვაობით ჩამორჩა — უეფას თასის მფლობელს 27-ით, თანაქალაქელებს კი 16 ქულით.

„სპორტინგის" პატრონმა რუმინელს კარისკენ მიუთითა და მის ნაცვლად თანამემამულე ფერნანდუ სანტუში დანიშნა. 48 წლის პორტუგალიელს მეტსახელად „ინჟინერს" ეძახიან. მას ნამდვილად აქვს ინჟინრის დიპლომი. გასულ სეზონში იგი ათენის „პანათინაიკოსში" იყო, მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისში ზედიზედ განცდილი სამი მარცხის შემდეგ ბერძნებმა კლუბიდან გაუშვეს.

ფერნანდუ სანტუშმა კარიერა „ამადორაში" დაიწყო. 1998 წელს „პორტუს" მწვრთნელობას დაყაბულდა და პირველივე სეზონში ჩემპიონობა იზეიმა. 2000-2001 წლებში პორტუგალიის თასი მოიგო, მერე კი საბერძნეთში, ათენის აეკს მიაშურა. აეკი, ისევე როგორც „პორტუ", პირველივე სეზონში ჩემპიონი გახდა.

„ინჟინერი" თავისი სიმკაცრითაა ცნობილი: „ყველა ფეხბურთელს პირადად გავესაუბრები და მათგან საუკეთესოებს დავტოვებ. ჩვენ სამივე ფრონტზე (ჩემპიონატი, ქვეყნის თასი, უეფას თასი), მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ" — თქვა სანტუშმა.

**გაჟა ხუციშვილი**

## ხორვატია

**თასის ფინალი**

**საპასუხო მატჩი**

**ჰაიდუკი 4:0 ულიანიკი (1:0)**

1:0 პლეტიკოზა (19პ), 2:0 რაპაიჩი (27), 3:0 ტურკოვიჩი (36), 4:0 დერანია (82)


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIV ტური

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | კიოლნი(მ)-ქემნიცი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 17.00 | 002 | დინამო-მიუნსტერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.00 | 003 | აუე-დორტმუნდი(მ) | 1,5 | 3,4 | 3,4 | 1,04 | 1,04 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ჰამბურგი | 2,0 | 3,6 | 1,8 | 1,28 | 1 | 1,19 |
| 17.00 | 005 | პადერბორნი-ფერლი | 2,3 | 3,6 | 1,7 | 1,4 | 1 | 1,15 |
| 17.00 | 006 | ბაბელსბერგი-ვატენშაიდი | 3,0 | 3,3 | 1,8 | 1,57 | 1,12 | 1,16 |
| 17.00 | 007 | ვერდერი(მ)-ესენი | 3,4 | 3,6 | 1,6 | 1,74 | 1,08 | 1,1 |
| 17.00 | 008 | ლევერკუზენი(მ)-დრეზდენი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 17.00 | 009 | ოსნაბრიუკი-კილი | 1,3 | 3,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,25 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVIII ტური

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ზაარბრიუკენი-ბაიერნი(მ) | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,33 | 1,19 | 1,4 |
| 18.00 | 011 | შვაინფურტი-აალენი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 18.00 | 012 | აინტრახტი(მ)-ჰოფენჰაიმი | 3,4 | 3,3 | 1,7 | 1,67 | 1,13 | 1,12 |
| 18.00 | 013 | აუგსბურგი-ვეენი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 18.00 | 014 | ერფურტი-ნოინკირხენი | 1,2 | 4,6 | 7,5 | 1 | 1,03 | 2,85 |
| 18.00 | 015 | ფულენდორფი-ოფენბახი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 018 | ზიგენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,6 | 4,6 | 1,05 | 1,13 | 2,01 |

### იტალია. სერია "B". XXXVIII ტური

7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 022 | ლეჩე-პალერმო | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |

### იტალია. სერია C1/A. პლეი ოფი.

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 029 | პიზა-ალბინოლეფე | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |

### იტალია. სერია C1/B. პლეი ოფი.

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | მარტინა-პესკარა | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |

### იტალია. სერია C1/B. პლეი აუტი.

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 031 | პატერნო-აკილა | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური

7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 032 | ლევანტე-სარაგოსა | 2,3 | 2,9 | 2,5 | 1,28 | 1,19 | 1,34 |
| 21.30 | 033 | სპორტინგი-ალმერია | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| 21.30 | 034 | ლას პალმასი-მურსია | 2,5 | 2,8 | 2,9 | 1,32 | 1,34 | 1,42 |
| 21.30 | 035 | ელჩე-ტერასა | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 036 | ალბასეტე-ხეტაფე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 21.30 | 037 | სალამანკა-კომპოსტელა | 2,15 | 2,5 | 4,0 | 1,15 | 1,39 | 1,53 |
| 22.00 | 038 | ეხიდო-ოვიედო | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 22.00 | 039 | ნუმანსია-ბადახოსი | 1,8 | 3,0 | 2,8 | 1,12 | 1,09 | 1,44 |
| 22.00 | 040 | სერესი-ეიბარი | 1,9 | 3,0 | 2,7 | 1,16 | 1,11 | 1,42 |
| 23.00 | 041 | კორდობა-ფეროლი | 1,85 | 3,0 | 3,8 | 1,14 | 1,24 | 1,67 |
| 22.30 | 042 | ლევანტე-ტენერიფე | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

### ჰოლანდია. პლეი ოფი

6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 047 | ზვოლე-დენ ბოსხი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 048 | იგლსი-ჰელმონდი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 049 | ექსელსიორი-ჰერაკლესი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 23.00 | 050 | ვოლენდამი-ემენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ევრო 2004. შესარჩევი მატჩები

7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 067 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 068 | ირლანდია-ალბანეთი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 069 | ირლანდია-ალბანეთი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 070 | ისლანდია-ფარერის კუნძულები | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 071 | ისლანდია-ფარერის კუნძულები | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 21.00 | 072 | მოლდოვეთი-ავსტრია | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 073 | უკრაინა-სომხეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 074 | უკრაინა-სომხეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 075 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 076 | ესტონეთი-ანდორა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 077 | ესტონეთი-ანდორა 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 21.00 | 078 | ფინეთი-სერბეთი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 079 | მალტა-კვიპროსი | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 22.00 | 080 | რუმინეთი-ბოსნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 081 | რუმინეთი-ბოსნია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.15 | 082 | დანია-ნორვეგია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 083 | ბელარუსი-პოლანდია | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | 084 | ბელარუსი-პოლანდია 1:0 | 3,0 | 3,6 | 1,65 | | | |
| 23.00 | 085 | სან მარინო-შვედეთი | 25,0 | 9,0 | 1,05 | 6,61 | 1 | 1 |
| | 086 | სან მარინო-შვედეთი | 2:0 | 2,0 | 4,6 | 1,8 | | |
| 23.00 | 087 | მაკედონია-ლიხტენშტაინი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 088 | მაკედონია-ლიხტენშტაინი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.15 | 089 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.15 | 090 | შვეიცარია-რუსეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 23.15 | 091 | უნგრეთი-ლატვია | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.15 | 092 | ისრაელი-სლოვენია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 00.45 | 093 | ესპანეთი-საბერძნეთი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 094 | ესპანეთი-საბერძნეთი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

### ევრ შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 095 | ისრაელი(21)-სლოვენია(21) | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 096 | უკრაინა(21)-სომხეთი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 097 | რუმინეთი(21)-ბოსნია(21) | 1,55 | 3,5 | 4,4 | 1,07 | 1,14 | 1,94 |
| 20.00 | 098 | ბელარუსი(21)-პოლანდია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 099 | ბულგარეთი(21)-ბელგია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 100 | უნგრეთი(21)-ლატვია(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.30 | 101 | სლოვაკეთი(21)-თურქეთი(21) | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 21.00 | 102 | მაკედონია(21)-პორტუგალია(21) | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 21.00 | 103 | ფინეთი(21)-სერბეთი(21) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 21.15 | 104 | მალტა(21)-კვიპროსი(21) | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.30 | 105 | დანია(21)-ნორვეგია(21) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 106 | შვეიცარია(21)-რუსეთი(21) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.00 | 107 | ესპანეთი(21)-საბერძნეთი(21) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.30 | 108 | სან მარინო(21) შვედეთი(21) | 20,0 | 10,0 | 1,05 | 6,66 | 1 | 1 |
| 23.30 | 109 | ირლანდია(21)-ალბანეთი(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 24.00 | 110 | შოტლანდია(21)-გერმანია(21) | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 111 | მოლდოვა(21)ავსტრია(21) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |

### ამხანაგური მატჩები

6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 116 | პოლონეთი-ყაზახეთი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 117 | პოლონეთი-ყაზახეთი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 01.15 | 118 | პორტუგალია-პარაგვაი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 119 | პორტუგალია-პარაგვაი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 03.05. | 120 | ვენესუელა-ჰონდურასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | სამხრეთ კორეა-ურუგვაი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 15.15 | 122 | იაპონია-არგენტინა | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 22.00 | 123 | აშშ-ახალი ზელანდია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 124 | აშშ-ახალი-ზელანდია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 125 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### ჰოკეი. NHL.

7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 602 | ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### კალათბურთი. NBA.

6 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 605 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

### კალათბურთი. ესპანეთი.

5 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 616 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 617 | ვალენსია-უნიკახა | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 616 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 617 | ვალენსია-უნიკახა | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |

### კალათბურთი. საბერძნეთი.

7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 623 | პანათინაიკოსი-პერისტერი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 22.00 | 624 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2302 | ბულგარეთი-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | ფინეთი-სერბეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2304 | დანია-ნორვეგია | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2306 | შვეიცარია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 23.15 | 2307 | ისრაელი-სლოვენია | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | |
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2502 | ბულგარეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | ფინეთი-სერბეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2504 | დანია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2506 | შვეიცარია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2507 | ისრაელი-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2202 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2203 | ფინეთი-სერბეთი | 1,9 | 1,7 |
| 22.15 | 2204 | დანია-ნორვეგია | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2205 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,85 | 1,75 |
| 23.15 | 2206 | შვეიცარია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |
| 23.15 | 2207 | ისრაელი-სლოვენია | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | | | | |
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 2,25 | 2,2 | 1,48 | 1,46 | 1,11 |
| 21.00 | 2002 | ბულგარეთი-ბელგია | 2,35 | 2,15 | 4,2 | 1,12 | 1,5 | 1,42 |
| 21.00 | 2003 | ფინეთი-სერბეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 22.15 | 2004 | დანია-ნორვეგია | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 23.15 | 2005 | სლოვაკეთი-თურქეთი | 4,2 | 2,15 | 2,35 | 1,42 | 1,5 | 1,12 |
| 23.15 | 2006 | შვეიცარია-რუსეთი | 2,6 | 2,15 | 3,5 | 1,17 | 1,49 | 1,33 |
| 23.15 | 2007 | ისრაელი-სლოვენია | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-გერმანია | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2402 | ბულგარეთი-ბელგია | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2403 | ფინეთი-სერბეთი | 2,0 | 1,8 |
| 22.15 | 2404 | დანია-ნორვეგია | 1,55 | 2,5 |
| 23.15 | 2405 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,4 | 1,6 |
| 23.15 | 2406 | შვეიცარია-რუსეთი | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2407 | ისრაელი-სლოვენია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-გერმანია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 2102 | ბულგარეთი-ბელგია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2103 | ფინეთი-სერბეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.15 | 2104 | დანია-ნორვეგია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.15 | 2105 | სლოვაკეთი-თურქეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.15 | 2106 | შვეიცარია-რუსეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2107 | ისრაელი-სლოვენია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30



სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# NBA PLAY OFF ფინალი

## სან ანტონიო 1:0 ნიუ ჯერსი

# ჩამშლელს ჩაეშალა

## ნიუ ჯერსი ეკლიანი ბუჩქია, გაგლიჯე და გაიარე

*ეს შედეგი ადვილი გამოსაცნობი იყო. პირველ ფინალურ მატჩში „სან ანტონიომ" იოლად არა, მაგრამ დამაჯერებლად მოიგო და პირველი ნაბიჯი გადადგა ასოციაციის მეორე ტიტულისკენ. „ნიუ ჯერსი" უეჭველად შემდეგ თამაშებშიც ეცდება ტეხასელებისთვის ხელის შეშლას, იქნებ რამე გამოუვიდეს კიდეც და ამ ფინალის არსიც ხომ ესაა, ერთმა მოიგოს, მეორემ კი, უკვე წინასწარ ნაგებულმა, ამაში შეძლებისდაგვარად შეუშალოს ხელი. 4 ივნისსაც ნიუჯერსელები მხოლოდ ხელს უშლიდნენ სანანტონიოელებს და მით უფრო მათ ლიდერს ტიმ დანკანს*

**4 ივნისი. სან ანტონიო. ესბისი სენთერი. 18 797 მაყურებელი**

### სან ანტონიო 101:89 ნიუ ჯერსი

18:21, 24:21, 32:17, 27:30

| სან ანტონიო | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტ. პარკერი | 40 | 5-12 | 1-2 | 3-4 | 3 | 5 | 1 | 0 | 0 | 16 |
| ს. ჯეკსონი | 42 | 5-10 | 0-4 | 2-5 | 3 | 5 | 2 | 0 | 3 | 12 |
| ბ. ბოუენი | 26 | 0-1 | 2-2 | 0-0 | 2 | 1 | 0 | 0 | 4 | 6 |
| ტ. დანკანი | 44 | 11-17 | 0-0 | 10-14 | 20 | 6 | 3 | 7 | 1 | 32 |
| დ. რობინსონი | 27 | 6-8 | 0-0 | 2-3 | 6 | 1 | 0 | 4 | 2 | 14 |
| მ. როუზი | 24 | 5-11 | 0-0 | 2-2 | 6 | 2 | 1 | 0 | 5 | 12 |
| ე. ჯინობილი | 28 | 2-6 | 1-2 | 0-0 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 7 |
| ს. კლაქსტონი | 8 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 |
| დ. ფერი | 1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 35-69 | 4-10 | 19-28 | 47 | 24 | 7 | 12 | 20 | 101 |

| ნიუ ჯერსი | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯ. კიდი | 44 | 3-12 | 1-5 | 1-2 | 8 | 10 | 2 | 1 | 1 | 10 |
| კ. კიტლზი | 30 | 1-4 | 1-3 | 3-4 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 8 |
| რ. ჯეფერსონი | 36 | 5-10 | 0-0 | 5-6 | 4 | 1 | 2 | 0 | 3 | 15 |
| კ. მარტინი | 33 | 10-23 | 0-1 | 1-2 | 12 | 2 | 1 | 2 | 6 | 21 |
| ჯ. კოლინზი | 31 | 1-4 | 0-0 | 3-4 | 9 | 3 | 0 | 0 | 4 | 5 |
| ლ. ჰარისი | 24 | 3-8 | 1-2 | 6-7 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 15 |
| რ. როჯერსი | 21 | 4-8 | 1-2 | 0-0 | 2 | 1 | 0 | 0 | 3 | 11 |
| ა. უილიამსი | 11 | 2-5 | 0-0 | 0-0 | 4 | 0 | 0 | 1 | 4 | 4 |
| დ. მუტომბო | 6 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 |
| ე. ჯონსონი | 4 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | 240 | 29-76 | 4-13 | 19-25 | 45 | 19 | 5 | 5 | 26 | 89 |

### დანკანის ჯადო

ტიმ დანკანი ჯერჯერობით პირველი მატჩის საუკეთესო მოთამაშეა, ხოლო ათიოდ დღეში, როცა „სან ანტონიო" ოფიციალურად გაპრემიონდება, მას ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელებენ. დანკანმა უკვე მოუწამლა ნერვები მოწინააღმდეგეებს და ყველაზე მეტად პირად ოპონენტ კენიონ მარტინს. მარტინი ნიუჯერსელთაგან საუკეთესო იყო, მაგრამ პასუხისმგებლობის ტვირთი მაინც მძიმედ დააწვა მოსვირინგებულ მხრებზე — მან ხომ ვერ გააჩერა დანკანი.

თამაშის შემდგომ სავალდებულო პრესკონფერენციაზე, მარტინი დამნაშავე-ლები რომ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, საით წაგვიღებდა თამაშის ნაკადიო.

კენიონ მარტინმა კი№ ბოლომდე მოიხადა ვალი და მატჩის ბოლოსწინა წუთზე „განგმირული დაეცა ბრძოლის ველზე", უკაცრავად, მეექვსე პერსონალური მიიღო და თამაშიდან გავარდა.

### მოიუსხული კიდი

დანკანმა ზემოთ რომ თქვა — სხვებსაც კენიონივით რომ ეთამაშათო, პირველ რიგში ამ სხვებში უთუოდ ჯეისონ კიდს გულისხმობდა. თუ მაინცდამაინც განტევების ვაცის პოვნაზე მიდგა საქმე, „ნიუ ჯერსიში" ის სანთლით საძებარი ნამდვილად არაა. „ნეთსი" მარცხით ნაწყენი კაცი როცა მიზეზების ძებნას დაიწყებს, პირველ რიგში ამ გუნდის ლიდერ ჯეისონ კიდს მიადგება, რომელმაც პირველ მატჩში თამაშიდან 17-ჯერ ისროლა, აქედან 13 გააფუჭა და შეხვედრა მხოლოდ 10 ქულით დაასრულა.

თუ კიდის აზრი გაინტერესებთ, ის თავს „დამნაშავედ" არ თვლის, რა ჩემი ბრალია, თუ ჩემ ნასროლი ბურთები კალათში არ ჩაცვივდაო. „ყველამ კარგად იცით, მე არც ისე კარგი მსროლელი ვარ, რომ ზედიზედ ჩავყარო ბურთები. ცუდად ნამდვილად არ მითამაშია, პასები დავაგროვე და საერთოდ გუნდიც რიგიანად თამაშობდა, მაგრამ ჩვენ მესამე მეოთხედი ჩავაგდეთ და ამან დაგვღუპა" — თქვა კიდმა.

ბაირონ სკოტი კი ალაპარებს საუკეთესო შეგირდის ცუდ თამაშს და მის მაგივრად ერთგვარად თავსაც იმართლებს, ფინალამდე ათი დღით დავისვენეთ და ჯეისონი ამან „დალალო".

რეალურად კიდმა მართლაც არ ითამაშა გადასარევად, მაგრამ მისი სანანტონიოელი ოპონენტი ტონი პარკერი არ აპირებს მომავალშიც ამის იმედზე ყოფნას — „ეს ცუდი საღამო იყო ჯეისონისთვის, მან ბევრი ჩასაგდები ბურთი ააცილა. ნამდვილად ვიცი, ის მომდევნო თამაშშივე გამოისყიდის ამას."

რას იზამს კიდი ორი ღამის შემდეგ, ეს ძნელი განსასაზღვრია, ის კი უკვე მომხდარი ფაქტია, რომ 20 წლის „ლაწირაკმა" ტონი პარკერმა ტოლი არ დაუდო ნბა-ს საუკეთესო გამთამაშებელს და ბევრ რამეში აჯობა კიდეც.

შავესავით იჯდა და სასოწარკვეთამდე ცოტა უკლდა. იმის კიდევ გახსენება, რა უქნა მას და მის გუნდს დანკანმა და გააზრება, რას უზამს მომავალში, მარტინს არაფრით სურდა და როცა ულმობელმა პრესამ მისი სწორედ დანკანზე საუბარში ჩათრევა მოინდომა, ნევროზის პირას მდგარმა კენიონმა ისე იკითხა — შეიძლება დაგტოვოთ, რომ ველარავინ შეეპასუხა.

არადა, მარტინი რიგიანად პატრონობდა დანკანს? პირველ ტაიმში. სანანტონიოელ მონსტრს საწყისი მეოთხედის შემდეგ ქულების ყულაბაში მხოლოდ ორი უჩხრიალებდა, ტაიმის შემდეგ კი — რვა. „ნიუ ჯერსიც" წარმატებით იგერიებდა მასპინძელთა მოძალებას და იქითაც ჩხვლეტდა. დიდ შესვენებამდეც აკი თანაბარი ანგარიშით 42:42 მიიყვანა თამაში.

მაგრამ მარტინის კარგ თამაშს დანაკარგებიც ახლდა, ნიუჯერსელი ფორვარდი დანკანის დევნაში დიდ სიფრთხილეს კი იჩენდა, მაგრამ მესამე მეოთხედის დასაწყისში მეოთხე პერსონალური მიიღო და მწვრთნელმა, ბაირონ სკოტმა, ბოლო დაასვენა.

დანკანი კი, მარტინის დაჯდომას ელოდებოდა თუ მეორე ტაიმისთვის ინახავდა ძალებს, ერთბაშად აფეთქდა და დიდი ქალაქის გარეუბნიდან ჩამოსული სტუმრები ჭეშმარიტად ტეხასური ველური ტორნადოსავით წალეკა. მეოთხედი რომ დამთავრდა, მისი „სან ანტონიო" უკვე 15 ქულით იგებდა და „ნიუ ჯერსი" ვერ ჩანდა ბოლო 12 წუთში ამ გუნდისთვის ამხელა სხვაობის წამრთმევი.

„არავინ მოვტყუებულვართ იმით, რომ დანკანმა ტაიმი რვა ქულით დაასრულა. ყველამ ვიცით, ის ყოველთვის ჩააგდებს 20 ქულაზე მეტს. იგი გვიან ათამაშდა და შორიდან დაიწყო სროლა. ხოლო როცა 213-სანტიმეტრიანი კაცი ხუთი მეტრიდან ჩაგიყრის ბურთებს, ჩათვალე, რომ მაგრად არ გაგიმართლა" — ამბობდა ნამატჩევს დამარცხებულთა მწვრთნელი ბაირონ სკოტი.

თუ ოქმში ჩახედვას არ დაიზარებთ, ნახავთ, რომ დანკანმა თამაში ყველაზე მეტი ქულით, ყველაზე მეტი მოხსნით, დაფარებით, ჩაჭრითა და თითქმის ყველაზე მეტი პასით დაასრულა. მან შვიდჯერ დაუფარა ნიუჯერსელებს, ყველა დროის ფინალების რეკორდზე მხოლოდ ერთით ნაკლებით.

დანკანი დიდებული მოთამაშე და გადასარევი ბიჭია, მატჩის შემდეგაც კომენტარის გაკეთება რომ სთხოვეს, მან პირველ რიგში ოპონენტი კენიონ მარტინი შეაქო, დიდი სამუშაო შეასრულა და სხვებიც მისებრ მონდომებუ-

### დავითი და ბებერი გოლიათები

დევიდ რობინსონი ალბათ თავადაც არ ელოდა, ასე კარგად თუ წაუვიდოდა თამაში. „სფურზის" 37 წლის ლეგენდარულმა ცენტრმა ის წლები გაიხსენა, როცა სისხლი უდუღდა და მუხლებში ძალა მოსდევდა. „ადმირალმა" „ნეთსს" 14 ქულა, 6 მოხსნა და 4 დაფარება დააძგერა. სულ ეგრე რომ ითამაშოს, რაღა გაგვიჭირდებაო, ამბობს მისი ახალგაზრდა მეგობარი ტიმ დანკანი.

რობინსონი ამ სერიაში მართლა ბოლომდე აპირებს დახარჯვას, ეს ხომ მისი კარიერის დასასრულია და რატომ იტყვის უარს, თუ ასე ტკბილი გამოდგება? სანანტონიოელებისთვის ის გმირია და ხალხი ლამის გადაირია, როცა მან ფარქვეშ ერთი რიგითი ბურთის დასაპატრონებლად ჭაბუკური მონდომებით გაუმართა ჯაჯაგური „ნეთსის" ბებერ გოლიათს, 218-სანტიმეტრიან დიკემბე მუტომბოს.

ტრავმებით გატანჯულმა მუტომბომ მაინც ითამაშა. ბაირონ სკოტმა თქვა, დღეს მის მოედანზე შეშვებას არ ვაპირებდი, მაგრამ ძირითადი მეფარეების — კენიონ მარტინისა და ჯეისონ კოლინზის პერსონალურების გამო სხვა გზა არც დამრჩენოდა. მოხუცმა აფრიკელმა მეფარემ თავი არ შეირცხვინა, ორი ბურთი მოხსნა და ერთხელაც მეტოქეს დაუფარა.

აი სკოტის სანანტონიოელმა კოლეგამ გრეგ პოპოვიჩმა კი არ ააყენა სკამიდან თავისი ბებერი ცენტრი, 40 წლის კევინ ვილისი. ვილისი 18-წლიან კარიერაში პირველად მოხვდა ფინალში და ერთი სული აქვს, როდის გავა ფიცარნაგზე. ჯერჯერობით მას მოცდა მოუწევს.

### სხვათაშორის

თამაშს, რა თქმა უნდა, დაესწრნენ „სფურზისა" და „ნეთსის" ლეგენდარული მოთამაშეები ჯორჯ გერვინი და ჯულიუს ირვინგი. ესენი ამ გუნდების ლიდერები ჯერ კიდევ იმ წლებში იყვნენ, როცა „სფურზი" და „ნეთსი" ნბა-ს პარალელურ ლიგაში პლეი ოფის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. ის ფინალი, რომელიც 1976 წელს გაიმართა ჯულიუს ირვინგს და მის „ნეთსს" მოუგია. სხვათა შორის, ეს აბა-ს ბოლო ფინალი იყო, ეს ლიგა დაიშალა, რამდენიმე გუნდი კი ნბა-ში გაწევრიანდა. მას შემდეგ „სან ანტონიო" და „ნიუ ჯერსი" პლეი ოფში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS სან ანტონიოდან

ნიუჯერსელი ჯეისონ კიდი სევდიანად გაჰყურებს გამარჯვებულ მეტოქეებს, მანუ ჯინობილის და ტონი პარკერს




გამარჯვებული ჟესტითაც იცნობა: ტიმ დანკანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*16 წლის გიორგი მამაცაშვილის გაჭიანურებულ ტრანსფერს საბოლოოდ დაესვა წერტილი. ორიოდ თვის განმავლობაში ბერძნულ გრანდ „ოლიმპიაკოსში" მოვარჯიშე მამაცაშვილს წინა კვირაში კონტრაქტი გაუფორმეს. ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ახალგაზრდა ქართველი „ოლიმპიაკოსის" საკუთრება იქნება მომავალი სამი წლის მანძილზე, ხოლო ითამაშებს თუ არა იგი ბერძნული ულუბის ძირითად გუნდში, თავად მასზეა დამოკიდებული. დღესდღეობით გიორგი ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს და „ოლიმპიაკოსისა" და საბერძნეთის ნაკრების გამთამაშებელ ნიკოლას ბუდურისს დაუმეგობრდა. ისე კი, მამაცაშვილმა უკვე იპოვა საერთო თავის ახალ კლუბსა და ქართულ გუნდებს შორის — გინება „ოლიმპიაკოსშიც" „მოსულა"... გუშინ „მამაცას" ათენში დავუკავშირდით...*

# მამაცაშვილს ნაკრების მაისურა 50 000 დოლარს ურჩევნია

## ოლიმპიაკოსის როქი: ქართველი მივიდა, ამერიკელი გაიპარა



სამახსოვრო ფოტო: ჰიდაიეთ თურქოღლუ და გიორგი მამაცაშვილი

— როგორც იქნა, აგიხდა ოცნება — ოლიმპიაკოსელი გახდი...

— მართლაც ძალიან გახარებული ვარ, სწორედ მაშინ გამიფორმეს კონტრაქტი, როცა ყველაზე ნაკლებად ველოდი.

წინა კვირის სამშაბათს თბილისში მოვდიოდი ვიზის გასაგრძელებლად. ცოტა არ იყოს, გული მქონდა გატეხილი, სამშობლოში უკონტრაქტოდ რომ ვბრუნდებოდი. ჰოდა, აეროპორტში წასვლამდე ერთი საათით ადრე „ოლიმპიაკოსის" მენეჯერმა დამირეკა, ბაზაზე მოდი საჩქაროდო. მივედი და სიხარულით ცას ვეწიე. მაგიდაზე კონტრაქტი დამახვედრეს, ხელი მოაწერე და შინ რომ წახვალ, ასლს გაგატანთ, შენი მშობლების ხელმოწერაც გვჭირდებაო.

**— მხოლოდ მენეჯერი ესწრებოდა კონტრაქტის გაფორმებას?**

— არა, „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი სლობოდან სუბოტიჩიც იქ იყო და კლუბის სხვა მოხელენიც. პრეზიდენტი არ მოსულა, ან როგორ უნდა მოსულიყო, გუნდის თამაშებზეც არ დადის, ისეთი დიდი კაცია. მასზე ამბობენ, ძალიან მაგარი მაფიოზიაო, ალბათ ბიზნესმენს გულისხმობენ ამ სიტყვაში.

**— კონტრაქტის ძირითადი პირობები როგორია?**

— სამწლიანია, მერე კი, თუ ორივე მხარემ მოვისურვეთ, კიდევ სამი წლით შეიძლება გახანგრძლივდეს. სხვა რა, ბინა, ხელფასი... ოღონდ ოდენობას ვერ გეტყვით, იმას კი გაგანდობთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში არავის აქვს ასეთი დიდი გასამრჯელო.

**— ძირითად გუნდში ითამაშებ თუ...**

— ჯერ არ ვიცი, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ დავიმსახურებ, „ოლიმპიაკოსის" ძირითად გუნდში თამაშზე არავინ მეტყვის უარს. ახლაც პირველ გუნდთან ვვარჯიშობ, თამაშებზეც დავყვები და სასტუმროშიც ერთად ვცხოვრობთ. ეგაა, მოედანზე არ გავდივარ, სათადარიგო სკამთან ახლოს, ტრიბუნაზე მოვკალათდები-ხოლმე.

**— რომც გათამაშონ, ითამაშებ? საქართველოს კალათბურთის ფედერაციის კანონით, არასრულწლოვანს სხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშის უფლება არ აქვს...**

— ჩემი მენეჯერი ალექსანდრ რაშკოვიჩი ამას წინათ თბილისში რომ იმყოფებოდა, ფედერაციის პრეზიდენტს ბესიკ ლიპარტელიანს მაგ საკითხზეც ესაუბრა. არავითარი პრობლემა არ იქნებაო, დაუიმედებიათ თბილისში ჩემი მენეჯერი. როგორც ვიცი, 1000 დოლარია საკომპენსაციო თანხა გადასახდელი და საბერძნეთში თამაშის უფლება მომეცემა. მგონი, უკვე გადახდილია კიდეც ეს თანხა.

**— გუნდელებს დაუახლოვდებოდი...**

— ყველაზე კარგად ნიკოლას ბუდურისთან ვარ, ვმეგობრობთ უკვე. იგი გამოცდილი გამთამაშებელია და ცოდნას მიზიარებს. ვარჯიშზე სულ ჩემს გვერდზეა, ბურთის ტარებას, პასის გაკეთებას მასწავლის. მაგარი შორტები და მაისურაც მაჩუქა. ქალაქში ხშირად დავდივართ ერთად.

**— თქვი, „ოლიმპიაკოსს" თამაშებზე დავყვებიო. რა სტადიაზეა ახლა გუნდი?**

— ფინალური სერია მიმდინარეობს „ოლიმპიაკოსსა" და აეკ-ს შორის. ანგარიშია 1:1-. იმ დღეს სასწაული მატჩი მოვიგეთ, სამი, უფრო სწორად, ოთხი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა. დემარკო ჯონსონი, ბუდურისი და მარკოვიჩი ტრავმირებულნი იყვნენ, „ოლიმპიაკოსის" უძლიერესი მოთამაშე, ამერიკელი მორის ევანსი კი სამშობლოში გაიპარა... ხომ არ გაგიკვირდა, მართლა გაიპარა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საქმე ისაა, რომ ევანსს გუნდის მწვრთნელთან საქმეები აეწეწა და დაპირისპირებას ველარ გაუძლო.

აქ ახალი ჩამოსული ვიყავი, როცა სუბოტიჩი ევანსს სასტიკად ეჩხუბა. თამაშისას მწვრთნელმა დაავალა, დაცვა ითამაშეო, ის კი მეტოქის ფარს არ სცილდებოდა. გაბრაზებულმა სუბოტიჩმა ევანსი თამაშიდან სულ დედის გინებით გამოიყვანა და არც სათადარიგო სკამზე დააკლო. მართლა აგინებდა, ჩემი ყურით მოვისმინე. ევანსი ისე წახდა, ფორმა ვერა და ვერ აღიდგინა. ამ ბოლო დროს თითქოს რაღაცას ფაფხურობდა, მაგრამ სუბოტიჩს თვალს ველარ უსწორებდა და იმ დღეს გაპარულა გუნდიდან.

**— გავიგეთ, საბერძნეთის მოქალაქეობა შემოგთავაზეს...**

— კი, მაგრამ უარს ვამბობ. საქართველოს ნაკრებში მინდა თამაში, თბილისში რომ ვიყავი, ნაკრების მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი გავიცანი. აქ ვერ იჯერებენ საბერძნეთის პასპორტის აღება რომ ვიუარე, 50 ათასი დოლარი ჯდება და შენ საჩუქრად არ გინდაო?

**ირაკლი პერტაია**





# ცქიტიშვილი ოცნებაში ძალიან მაგარია

*რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ნუ გაიკვირვებთ. აღწერილი ამბები მართლა მომხდარა. ოღონდ ნიკა ცქიტიშვილის კომპიუტერის მონიტორზე. კოლორადოულ გაზეთ „როკი მაუნთინის" ჟურნალისტ ბრაიან კრესენს გულით მოუნადინებია და ცქიტიშვილისა და პრედრაგ სავოვიჩის ვირტუალური დაპირისპირების, ანუ „დენვერ" – „ლეიკერსის" მატჩის პერიპეტიები თანმიმდევრობით გადმოუტანია ფურცელზე. ამით მას სურს, მკითხველს ამცნოს, თუ როგორ უყვარს „დენვერის" ახალბედა ქართველს კომპიუტერული თამაშობანი*

**ბრაიან კრესენი**

**RockyMountain News**

„პეპსი სენთერი", მიმდინარეობს მესამე მეოთხედი...

„დენვერი" 20 ქულით უგებს „ლეიკერსს". მასპინძელთა ახალბედა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, იგივე „სკიტა", არამარტო მატჩის საუკეთესო მოთამაშეა, ბარე მთელი გუნდია. ზუსტი სროლები საშუალო და შორი დისტანციიდან, დაფარებები, არნახული ჩატენვები — „სკიტა" მოედნის მეფეა.

მაგრამ ამ დროს აბობოქრდა „ლეიკერსის" ბულა შაკილ ონილი, საკუთარ ფართან შექუჩებული დენვერელები მიფანტ-მოფანტა და როცა ხალხმა იფიქრა, აქ ფარი ჩამოიფშვნებაო, სად იყო და სად არა, დევკაცის ცხვირწინ ცქიტიშვილი აიშოტა. შაკილმა ჩატენვა გადაიფიქრა და ესროლა, მაგრამ „სკიტას" ხელებს ბურთი ვერ გადაავლო და ქართველმა თვით შაკს დაუფარა.

გადაჭედილი „პეპსი სენთერი" დაინგრა... „დენვერის" სამწვრთნელო შტაბი კი გაოცებული და, ცოტა არ იყოს, შემცბარია.

„ეს რა ხდება — ამბობს ერთ-ერთი შტაბელი — მარტო თავად ხომ არ არის მთელი გუნდი, ბურთის ღორივით იქცევა. „სკიტა", პასი ითამაშე, პასი".

ნამდვილი „სკიტა" კი ამ დროს თავის 213-სანტიმეტრიან სხეულს ვეებერთელა შავტყავა დივანზე ვერ ასვენებს, იკლაკნება და გაშმაგებით აჭერს ჯოისტიკის წითელ ღილაკს. „სკიტა" კმაყოფილი იცინის, ვირტუალური „სკიტა" ძალიან მაგრად ბურთაობს ახალ კომპიუტერულ თამაშში, რომელიც, მიხვდებოდით და, ნბა-ზე დაწერილი აუარება პროგრამების უკანასკნელი ვერსიაა.

ცქიტიშვილი მონიტორზე მიმდინარე შოუს ვარსკვლავია. მაგრამ ვარსკვლავი უცაბედად მოედნის კიდესთან მდგარ გაზეთ „როკი მაუნთინის" ჟურნალისტს ეჯახება და სკამზე მჯდარ ღრმა სათადარიგოებს ცქიტიშვილის გაკენწვლის საბაბი ეძლევათ. ისმის შემახილები „სკიტა" მიდი, აბა, ჩატენე... ეეე, შენ ჯერაც ვერ გისწავლია სამქულიანის სროლა... ჰეი, „სკიტა", რას დახტიხარ ზევით-ქვევით..." ამ დროს ცქიტიშვილი ზუსტად ისვრის სამქულიანს და მისი კარგი თამაშით დაბოღმილ დენვერელს ენა მუცელში უვარდება.

უცებ შაკს და კობის რაღაც ემართებათ, დენვერელთა დაცვაში იხლართებიან და ბურთს ვერ ესვრიან. „B,B ესვრის — ცქიტიშვილი კომპიუტერთან მჯდარ მის მეტოქეს, სინამდვილეში კი თანაგუნდელ პრედრაგ სავოვიჩს წითელ ღილაკზე მიუთითებს — წითელი ესვრის".

მერე „სკიტა" ერთი-ორჯერ კიდევ უტენის ლეიკერსელებს და „დენვერის" ნავარდიც აქ მთავრდება — ჯოისტიკთან მჯდომმა სავოვიჩმა საბოლოოდ დაამუღამა ყვითელ-წითელი ღილაკების





რეალურ თამაშში ჩატენვა არც ისე ადვილია, როგორც ვირტუალურში

ფუნქციები და „ლეიკერსმაც" პერიმეტრიდან აიკლო მეტოქე. საბოლოოდ შაკილის ამქარმა 2 ქულით დაამარცხა ცქიტიშვილის ძმაბიჭები.

მოგვიანებით ახალი კომპიუტერული თამაში იწყება, მაგრამ არც ცქიტიშვილი და არც სავოვიჩი „დენვერს" აღარ ირჩევენ.

„სკიტას" ძალიან უყვარს კომპიუტერული თამაშები, განსაკუთრებით კალათბურთი და ფეხბურთი. ამბობს, რომ მისი ძმა გიორგი ამ საქმის ოსტატია და ყველაზე ძლიერად მაშინ თამაშობს, როცა გუნდში „სკიტა" ჰყავს: „ჩემს ძმას თითქმის სულ გუნდში ვყავარ და ხშირად 70 ქულას მაკეთებინებს. უკვე ოცნებად გადამექცა ჩემი კომპიუტერული ორეულის დარად თამაში".

## როლან გაროსი 2003 საპრიზო 13 044 055 ევრო






სერენა უილიამსს როლან გაროსის კარები ჟუსტინ ენენ-არდენმა მოუჯახუნა

# კმარა, სერენა!

სერენა უილიამსის ეპოქალური, ზედიზედ ოთხ სლემტიტულისა და ზედიზედ 33 სლემგამარჯვებაზე გამავალი სვლა დასრულდა.

ეს სვლა ცოდა ბელგიელმა, პირველ ივნისს ნა-21-წლისებულმა ქალმა, თავის პირველ სლემფინალში საოცარი, თავდადებული ჩოგნაობით შეყვარებულმა ჟუსტინ ენენ-არდენმა შეწყვიტა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სერენას ეპოქა დასრულდა?

ამაზე საუბარი ჯერ ალბათ ნაადრევია — ქალთა ჩოგბურთის დედალი ავაზა თავის კორტის შემყვარ ბაყბაყს ხნულში ჯერაც ასლუწყავ ტალანტებს მოიძევს — მაგრამ ორი რამის უეჭველად მტკიცება უკვე დღესვე შეგვიძლია:

სერენა წლეულს „კალენდარულ დიდ სლემს" ვეღარ აჯამებს. ზედიზედ ოთხი უმთავრესი ტურნირის მოგება მან გაისად ანაც იმის მერე უნდა სცადოს.

ხოლო მეორე ის ამბავი გახლავთ, რომ ჟუსტინ ენენ-არდენითვის ცოდა ევროპულ ქვეყანას ისტორიაში თავისი პირველი სლემტიტულოსანი ეყოლება — ქალთა წლევანდელი როლანგაროსობის ბედს ხომ ორი ბელგიელი ქალის დავლური გადაწყვეტს, ამ ქვეყნის წარმომადგენელი კი აქამდე ერთ სლემტურნირზეც არ ემარჯვათ.

უნდა ვაღიაროთ:

მსოფლიოს ამჟამინდელი მეორმეჩოგნე კიმ კლაისტერსისა და უკვე მომავალი კვირიდან რეიტინგსიის მესამე საფეხურზე შემსკუპებელი ჟუსტინ ენენ-არდენის როლანგაროსური ფინალის სამართლიანობა არავითარ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ეს ბელგიური სუპერწყვილი შავდათა შეუცილებელ ბატონობას პირველი ალუდგა და თუკი ვინმეს უკანასკნელი წლის განმავლობაში იმის დაკვეხა შეეძლო, რომ სერენასა და ვინუსისთვის მძლავრი, რეზონანსული დარტყმა უგემებია, ეს სწორედ ფუმფულა კიმი (2002 წლის ლოს ანჯელესის ქალთა სეზონდამაგვირგვინებელი ტურნირი) და კნაჭა ჟუსტინი (შარშანდელი ბერლინობა პლუს წლევანდელი ჩარლსტონობა) არიან.

სხვათა შორის, პირველი საამსეზონო დამარცხება მთელი სეზონის განმავლობაში დაუმარცხებლად გადგაფუნებაზე მეოცნებე სერენას ჩარლსტონოიხნარის ფინალში სწორედ ენენ-არდენმა აგემა 6:3, 6:4.

ამიტომ ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ გუშინ სერენა თვითონ დამარცხდა.

მას მობილიზებულმა, ტაქტიკურად უაღრესად განსწავლულმა, ამ ბოლოს დროს გაუმჯობესებული ხელწალმისა და უბასრესი ხელუკულმის მქონე, და რაც მთავარია — შეუპოვარმა, გამარჯვებაზე დაგეშილმა მეტოქემ სძლია.

ეს იყო საოცარი, დაძაბული შეხვედრა, რომლის პირველ სეტშიც ბელგიელმა სერენას პირწმინდად გადაუარა, მეორეში უკვე შავდის ყუმბარების წინაშე დათმობა მოუხდა, ხოლო გადამწყვეტში (სადაც ბედის სასწორი აქეთ-იქით ქანაობდა) 2:4-დან ამოქაჩვა და მატჩის მიწურულს გამართულ აიწონა-დაიწონა სერენას სიმძიმის წილ უფრო მეტი სიმძიმის მოძებნა შეძლო.

ამ სიმძიმეს ალბათ ჯიგარი ჰქვია, რაიც თვისტომისა და დოსტ კიმ კლაისტერსთან საფინალო ხათქა-ხუთქში მას, ჰაი-ჰაი, რომ ზორბად უნდა გამოადგეს.

ეს სერენას და ჟუსტინის მეექვსე მატჩი იყო და მამა რიჩის უმცროსი გოგო 4:2-სლა იგებს...

თავად კიმისა და ლალი — ოლონდაც ჯენიფერ კაპრიატისა და ვერა ზვონარიოვასთან სამსამ სეტიანი დაპირისპირებებით გადალლილი — რუსგოგო პეტროვას შეხლა კი ჟუსტინ-სერენას ბრძოლის ფონზე შესამჩნევად დაიჩრდილა და მასზედ აქ მხოლოდ ერთის თქმაღა ხამს:

ლეიტონის ქალმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და თავის მეორე როლანგაროსულ ფინალშიც დამსახურებულად გავიდა.

შეგახსენებთ — სეფეთიხნარობის ფინალი მან პირველად 2001 წელს დააგემოვნა და მაშინ ჯენი კაპრიატისგან იძლია. მაშინდელ ფინალში გასასვლელად კი სწორედ ჟუსტინ ენენის დამარცხება მოუხდა.

ახლა ვინ იმარჯვებს?

ალბათ — ყველა ვარიანტში იმარჯვებს ბელგია. იმის მიუხედავად, რომ ენენ-არდენი ფრანგულენოვანი გახლავთ, კლაისტერსი კი ფლამანდიურ ენაზე მეტყველებს.

**ლევან ძელაურაძე**




კიმ კლაისტერსი ფინალში

## ამბავ-ხაბარი







### გამოცანა: იჯღანება და იგებს

ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი საფრანგეთის წლევანდელი ღია პირველობის ყველაზე ფოტოგრაფირებადი მეჩოგნეა.

ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ სრულიად მოულოდნელად მან მეოთხედფინალამდე იომა, იქ 1998 წლის ჩემპიონი კარლოს მოია იავარქმნა და დღევანდელი ნახევარფინალში არგენტინელ კორიას უნდა ერკინოს.

მეორე — და არანაკლებ მნიშვნელოვანი — მიზეზი კი მისი საოცრად მეტყველი მიმიკაა. თვალებდაჭყეტილი, პირდაბრეცილი და წარბებშემართული დაჩმენი როლანგაროსობაზე მოლვაწე ფოტოკორესპონდენტთა უსაყვარლეს ობიექტად იქცა.

ვერკერკის მისი დამახინჯებული სახის ასეთი ხშირი დემონსტრირება არ აღარდებს.

„ჰო, ეს მახინჯობაა, მაგრამ მე აქ საკოხტაოდ კი არ ჩამოვსულვარ, არამედ მოსაგებად" — ამბობს ვერკერკი.

მოიგებს? — ეგ არავინ იცის. უშნოა? — შუასამატჩო სიმშვიდისას — დასტურ! რომელი უფრო მთავარია? — თავად დაჩმენი თავის წლევანდელ პარიზობას „ერთ დიდ გადარევად" აფასებს.

### არა ვიტამინ ჯამო

„ვიტამინები მავნებელია თქვენი საჩოგბურთო კარიერისთვის" — გვაფრთხილებს გილერმო კორია.

ამგვარი რამ მან ორი წლის წინ დაასკვნა, როცა მავანი საკვები დანამატის გადამკიდე სისხლში აკრძალული სტეროიდი, ნანდროლონი აღმოუჩინეს.

ამ აღმოჩენას მაშინ კორიასთვის შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია პლუს 100-ათას დოლარიანი ჯარიმა მოჰყვა.

„გაფრთხილდით, ძალიან გაფრთხილდით — ამბობს გაუჩო — ვიტამინები ძალიან სახიფათოა."

წამლის მიღება კორია მაშინაც იუარა, როცა ამ ორიდღისწინანდელ მეოთხედფინალში ანდრე აგასის წინააღმდეგ მობურთალს კიდურებმა გაჰკრუნჩხა.

„არა, რაც უნდა ცუდად ვიყო, ექიმისგან გამოწვდილს მაინც არაფერს ავიღებ. თქვენც იმასვე გირჩევთ."

### ახალი წესრიგი

თითქოს გაუხალისოებული და მოტივაციადაკარგული ვინუს უილიამსი მომავალ კვირას გამოსაქვეყნებელ რეიტინგსიაში კიდევ ერთი საფეხურით დაქვეითდება. მის მესამე საფეხურს ცოდა ბელგიელი ჟუსტინ ენენ-არდენი დაიკავებს.

ამის მიზეზი — ვგონებთ — საკმარისზე ნათელია. ვინუსი შარშანდელი ფინალისტია და სტატუსკვოს შესანარჩუნებლად იგივე მაინც უნდა გაემეორებინა. მან კი აილო და მეოთხე წრეში ფუნჩულა რუსთან, ვერა ზვონარიოვასთან ჩაიფლავა.

ჟუსტინი ასე მაღლა ჯერ არასოდეს აჩოჩებულიყო. ვინუსი კი მეოთხე ადგილზე ბოლოჯერ 2001 წლის ნოემბერში იდგა.

პირველ-მეორე ადგილებს სერენა უილიამსი და კიმ კლაისტერსი შეინარჩუნებენ.




ვინუს უილიამსის რეიტინგი დაეცა

### როლანგაროსობის რეიტინგოსნობა

ჩოგბურთის მაჩვეშები მათი სამწყსოს მარკეტინგის გაუმჯობესებაზე დაფიქრდნენ.

როგორც ამერიკული ჩოგნაობის ერთ-ერთი მამამთავარი, არლენ კანტარიანი ამბობს, ჩოგბურთს მსოფლიოში ჯერაც არ მიეგება სათანადო პატივი და მასზე მორუდუნე ხალხმა უფრო მეტი უნდა გააკეთოს მისთვის ზოგადსამყაროული როლის მისანიჭებლადო.

„კორტებზე ხალხი თითქოს ნორმალურად დადის, მაგრამ სატელევიზიო რეიტინგები კი ნაღდად გასაუმჯობესებელია" — ამბობს იგი.

თავად განვსაჯოთ: დიდბობოლა იესპიენზე საფრანგეთის ღია პირველობის საშუალო რეიტინგი 0,7-ა, რაც იმას ნიშნავს, რომ როლანგაროსულ შეხვედრებს იესპიენის მჭონეთა საშუალოდ 0,7 პროცენტი უყურებს.

შედარებისთვის — კოლეჯის კალათბურთის რეიტინგი 0,9-ა, ხოლო ენბიეის პლეიოფები 2,4-იან რეიტინგს იჩკიან.

„ტელევიზია ყველა სახეობის წარმატების გარანტიად რჩება — დასძენს მისტერ კანტარიანი — ამერიკაში კი სლემტურნირთა გარდა არც ერთ საჩოგბურთო მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა."

კანტარიანი თვლის, რომ ჩოგბურთისადმი ინტერესის გაღვივება „შერეულ ტურნირებს" ხელეწიფება. მისი გრძელვადიანი მიზნები — სხვათა შორის — ამერიკის ღია პირველობის წინ რამდენიმე ზორბა ტურნირის მოწყობასაც ითვალისწინებს.

### კოსტას მესამე

ტომი რობრედო მესამე კაცი გამოდგა, ვინაც ამ ტურნირზე ტიტულდამცველ ალ კოსტას ორ სეტს უგებდა და მაინც იძლია. ხომ გახსოვთ, მათი საარაკო მეოთხედფინალი კოსტას სასარგებლოდ — 2:6, 3:6, 6:4, 7:5, 6:2 დასრულდა.

ამ გამარჯვებამ შარშანდელ ჩემპიონს ნიკოლა ესკუდის 5-წლისწინანდელი ავსტრალიური სლუგმირობა გაამეორებინა. მათ გარდა სხვამ ვერავინ შეძლო, ერთ სლემტურნირზე სამი ორსეტდეფიციტიანი მატჩი მოეგო...

რობრედო თავს იმით ინუგეშებს, რომ ამ ჯერზე ორ სლემჩემპიონს, ლეიტონ ჰიუიტსა და გუსტავო კუერტენს მაინც აჯობა.



*ძალიან ცუდი ამბავი: საქართველოს ნაკრების ყველაზე პოპულარული მორაგბე და გუნდის ლიდერი ლევან ცაბაძე ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალიაში გასამართ მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშებს. ეს კი პრაქტიკულად მის სანაკრებო კარიერის დასასრულს ნიშნავს, რადგან მსოფლიოს თასის შემდეგ 32 წლის „ლეონსიო" ისედაც აპირებდა ბორჯღალიან კვართთან დამშვიდობებას. ცაბაძეს, ვისაც მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნება ეგრეც ვერ აუხდა, სამიოდ კვირის წინ საფრანგეთში საზარდულის ოპერაცია გაუკეთეს. ამასთან, მას მხრის კუნთის მყესიც ჰქონდა გაწყვეტილი და სწორედ იგი აღმოჩნდა მისთვის ფატალური. მყესის აღდგენას ექვსი თვე სჭირდება — ასეთი იყო ქირურგთა დიაგნოზი, რომელიც ცაბაძემ გუშინწინ მოისმინა...*



გია ახალაძის ფოტო

ლევან ცაბაძის და კლოდ სორელის გზები, ეტყობა, საბოლოოდ გაიყარა

# ექიმებმა ცაბაძეს სანაკრებო განაჩენი გამოუტანეს

— ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი იყო ამ სიტყვების მოსმენა. ამაზე ლაპარაკიც მიჭირს. ისეთ ცუდ ხასიათზე ვარ, რომ... რა გითხრა, არც კი ვიცი, შოკში ვარ — ასე დაიწყო გუშინ დაღონებულმა ცაბაძემ ჩვენთან საუბარი.

— იქნებ მთლად ასე სერიოზულად არ არის საქმე, სხვა ქირურგებს არ გაესინჯე?

— აქ, საფრანგეთში ვინც კი სახელიანი ქირურგია, ყველას მივაკითხე, მაგრამ პასუხი ერთი იყო. ექვსი თვე ვერ ვითამაშებ.

— გამოდის, შენი სანაკრებო კარიერა ისე დასრულდება, რომ...

— რას იზამ. ყველა ოცნება ვერ აგიხდება. თორმეტი წელი იმისთვის ვწვალობდი, მსოფლიოს თასზე ერთი მატჩი მაინც მეთამაშა, მაგრამ იღბალმა მიმტყუნა. ახლა უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ მსოფლიოს თასი უჩემოდ ჩაივლის. არადა, როგორ მინდოდა ავსტრალიაში ბიჭებთან ერთად საქართველოს ჰიმნზე დგომა.

— მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას აპირებდი. ეს ალბათ ახლა უფრო მალე მოხდება.

— აზრი ჯერ არ შემიცვლია, მაგრამ კონკრეტულად როდის წავალ ნაკრებიდან, ჯერ არ ვიცი. ყველაფერს კარგად მოვიფიქრებ და მერე ვიტყვი საბოლოო სიტყვას. ახლა არ მსურს ბევრი ლაპარაკი. აზრზე მოსასვლელად დრო მჭირდება, დანარჩენზე საქართველოში რომ ჩამოვალ, მერე ვილაპარაკოთ.

**ბაჩო სვანიძე**

# რაგბის ლომი ცხოვრებამ და თირკმელმა დაჩაგრა

*1996 წელს თითქმის ყველა ახალზელანდიურმა ტელეკომპანიამ, თითქოს პირი შეკრესო, გადაცემები ერთდროულად შეწყვიტეს და ქვეყანას ამცნეს, რომ...*

*მშვიდ ზელანდიაში არც ომი დაწყებულა და არც ტერორისტებს აუფეთქებიათ რამე. საგანგებო ტელეჩართვები ერთ კაცს, ახალი ზელანდიის და მსოფლიო რაგბის უპირველეს ვარსკვლავ ჯონა ლომუს მიეძღვნა. ლომუს, რომელზეც იმდროისთვის ლეგენდები დადიოდა, თირკმლის მძიმე დაავადება აღმოაჩნდა და მის სიცოცხლეს და სპორტულ კარიერას დიდი საფრთხე დაემუქრა*

მას შემდეგ ჯონას თირკმელში ბევრმა წყალმა გაიარა. ლომუ კი იმდენჯერ წავიდა და დაბრუნდა რაგბიში, რომ ბოლოს მასაც აერია სათვალავი, მძიმე სენი კი თავის ვერაგობას განაგრძობდა და 1995 წელს უეცრად ანთებული ვარსკვლავი ნელ-ნელა ჩააქრო.

რამდენიმე წელიწადში ლომუ აღარ იყო „ოლ ბლექსის" და მსოფლიოს უპირველესი მორაგბე. მეტიც, ის ზოგჯერ სათადარიგოებშიც ვერ ხვდებოდა და ასე გრძელდება დღემდე.

დღეს ლომუს რაგბი შეიძლება მის სნეულ თირკმელთან ერთად მოკვდეს. მას თირკმლის გადაუდებელი ტრანსპლანტაცია სჭირდება. ასეთია ექიმების ვერდიქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დიალიზზე მყოფი მორაგბე საიქიოს კარს ისე სწრაფად მიუახლოვდება, როგორც ამას მეტოქის ლელოსკენ დაძრული აკეთებდა. „ძალიან ავად ვარ, გადაუდებელი ოპერაცია მჭირდება. ახლა ჩემთვის დონორს ეძებენ და როგორც კი შესაბამის თირკმელს მიპოვნიან, უმალვე ქირურგებს ჩავბარდები" — ეს ერთი ეპიზოდია ლომუს ბოლო ინტერვიუდან, რომელიც მან ერთ-ერთ ახალზელანდიურ ტელეარხს მისცა.

აი, რას ამბობს „ოლ ბლექსის" ექიმი ჯონ მეიუ: „არ მინდა, ჯონას გული ვატკინო, მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია — იგი რაგბის ვეღარ ითამაშებს. მისი ორგანიზმი ამას ვერ გაუძლებს".

თავად ლომუ დანებებას არ აპირებს და ოპერაციის შემდეგ ახალი თირკმლით თამაშს არ გამორიცხავს: „მე ჯერ 28 წლის ვარ. რამდენი დრო უნდა წაიღოს მკურნალობამ? თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჰა-ჰა, ორი-სამი წელი. მერე კი... მერე ისევ ბურთი და მოედანი. ჩემი ოცნება „ოლ ბლექსის" თერთმეტნომრიანი კვართის გაუხდელად ტარება იყო. ბოლომდე ვიბრძოლებ და ავადმყოფობას ნებას არ მივცემ, ჩემი ოცნებები დაასამაროს".

ჩვენ კი დავძინოთ, რომ ლომუ წლევანდელ სამსოფლიოსთასო გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი არ მოიხსენიებოდა. დროც ბევრი ჰქონდა და მას ქველმოქმედებას ახმარდა ოკლენდის ტრავმატოლოგიური კლინიკისთვის სახსრებს აგროვებდა.

რაგბიში რომ აიწეწა ჯონას საქმეები, მის 196-სანტიმეტრიან და 125-კილოგრამიან სხეულს თვალი აშშ-ს ეროვნული საფეხბურთო ლიგის სკაუტებმა დაადგეს და ოკლენდელ გოლიათს ოკეანისგაღმა ექაჩებოდნენ. ჯონა კი ამერიკელთა მაცდურ წინადადებებს უარყოფდა. მას „ოლ ბლექსთან" ერთად წლევანდელი მსოფლიოს თასის მოგება სურდა...

ერთიც. ერთხელ ლომუმ 100 მეტრი 10,8 წამში გაირბინა. ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი 9,78 წამია და იგი ტიმ მონტგომერის ეკუთვნის.

„გულწრფელად ვამბობ, რომ ჯონას ამბავმა გული ძალიან მატკინა. მან რაგბი გლობალური გახადა და დღეს თუ მას მსოფლიოს თითქმის ყველა კუნჭულში თამაშობენ, ეს სწორედ ჯონას პოპულარობის გამოცაა. იგი რაგბისთვის იყო დაბადებული და ყოველთვის ლეგენდად დარჩება" — ეს კი ფრანგი მორაგბისა და ლომუს მეგობრის, ემილ ნტამაკის სიტყვებია.

**ბაჩო სვანიძე**




ჯონი და ლამაზმანი: ჯონა ლომუ და ანა კურნიკოვა

# სად არის საქართველო?
## იკითხავენ დღეს ლიონში და...

დღეს ქართულ ხელბურთს კიდევ ერთხელ მოეჭრება თავი, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ეს ამბავი სამუდამო იყოს.

ვითარებას მოგახსენებთ: სწორედ დღეს საფრანგეთის ქალაქ ლიონში 18-წლამდელ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ჩეხ, იტალიელ და ფრანგ თანატოლებს უნდა გაჯიბრებოდა. მაგრამ ჩვენი გუნდი, ბუნებრივია, წინასწარვე ცნობილი მიზეზის — უფულობის გამო თბილისიდან ვერ გაემგზავრა.

ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა ნაკრების ხელმძღვანელობას ბოლო დღემდე აიმედებდა, სასაფრანგეთო ფულს გიშოვითო მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ დაპირება დაპირებად დარჩა და უილაჯო, ოღონდ როგორც ყოველთვის ამბიციურმა ასოციაციამ ბოლოსდა აღიარა თავისი უსუსურობა.

არადა, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ ულტიმატუმის ფორმით მიგვანიშნა, თქვენი მათხოვრული ყოფის გამო იქნებ სულაც ხელი აიღოთ მსოფლიო-ევროპის ტურებზე და სათქვენდონე, მესამეხარისხოვან გუნდებთან „ჩელენჯ კაპის" ტურნირზე ითამაშოთო. მით უმეტეს, რომ იქ მონაწილეობას სწორედ ევროფედერაცია აფინანსებს და ჩვენს მეხელბურთე მესვეურებს ლარის გაღებაც არ მოუწევთ.

სამწუხარო რეალობა ის გახლავთ, რომ დღეს ლიონის სპორტის სასახლეში ჩეხებთან მატჩზე გამოუცხადებლობა საქართველოს ხელბურთის ევროსარბიელზე სულ მცირე ერთწლიან მოკვეთას და სოლიდურ ფულად ჯარიმას მოუტანს.

**გია ახალაძე**



# ატიპიურმა ლიგაც შეაშინა



სტივ აიზერმანი

**ნჰლ-ს** სულ ერთადერთი აზიელი ჰყავს, მინესოტელი რიჩარდ პარკი და ისიც უკვე 15 წელიწადია, აშშ-ში ცხოვრობს, მაგრამ ატიპიური პლევმონია ლიგას მაინც ემუქრება. მიზეზი ტორონტოა: იქ ხომ უკვე 28 ადამიანი დაიღუპა ამ დაავადებით. ჰოდა, 12 ივნისს სწორედ ტორონტოში უნდა გაიმართოს ნჰლ-ის პრიზებით დაჯილდოების ცერემონიალი. ლიგის მესვეურებს ეს აფიქრებთ და მის სხვა ქალაქში გადატანაზე ფიქრობენ. ზოგიერთი პრიზიორი უკვე გამოთქვამს აზრს ამ საკითხზე. მაგალითად „ფრენკ ჯ. სელკეს" (დაცვაში მარჯვე ფორვარდისთვის) პრიზზე წარდგენილმა ნიუჯერსელმა ჯონ მედენმა იმედი გამოთქვა, რომ ლიგა ამ ცერემონიალს უთუოდ სხვა ქალაქში ჩაატარებს. მისი პარტნიორი, მეკარე მარტინ ბროდო კი უფრო გაბედული აღმოჩნდა. საუკეთესო მეკარის და MVP-ს ჯილდოზე წარდგენილმა ჰოკეისტმა განაცხადა, რომ საშიში არაფერია. მთავარია, სიფრთხილე გამოიჩინო და წინასწარ ყველა ზომა მიიღო. ნჰლ-ის გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში შევიტყობთ. ამასობაში კი კიდევ ერთი პრიზის მაძიებლები გამოვლინდნენ. „ბილ მასტერტონ მემორიალ ტროფის" ჰოკეის ერთგულებისთვის აძლევენ. წლეულს მისი მაძიებლები იქნებიან: სტივ რუჩინი, ბრაიან ბერარდი და სტივ აიზერმანი. პირველი ანაჰაიმის მოთამაშეა და ახლაც თასისთვის იბრძვის. წინა ორ სეზონში მას უამრავი ტრავმა ჰქონდა, წინა ზაფხულს უფროსი ძმა გარდაეცვალა.

ბოსტონის მცველმა ბრაიან ბერარდმა სამი წლის წინ ერთ-ერთ თამაშში ლამის თვალი დაკარგა, მაგრამ ვაჟკაცი ჰოკეისტი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ჰოკეის მაინც დაუბრუნდა.

სტივ აიზერმანი კი 19 სეზონია დეტროიტის ერთგულია. 2002 წელს სტენლის თასის ფინალში დეტროიტის კაპიტანმა მძიმე ტრავმა მიიღო და მუხლის ოპერაცია გადაიტანა. 66 მატჩი გამოტოვა, თუმც შემდეგ მაინც დაუბრუნდა საყვარელ საქმეს.

**სამველ ღარიბიანი**


რაგბი ცოცხლად დიდ ეკრანზე



ბარი „ანგარი"

შავთელის ქუჩა, 20

ანჩისხატის ეკლესიის პირდაპირ

ტესტ-მატჩები მსოფლიო თასის წინ

7 ივნისი, შაბათი

14.00 ავსტრალია — ირლანდია

17.00 სამხრეთ აფრიკა — შოტლანდია (პირველი ტესტი)

14 ივნისი, შაბათი

12.00 ახალი ზელანდია — ინგლისი

14.00 ავსტრალია — უელსი

17.00 სამხრეთ აფრიკა — შოტლანდია (მეორე ტესტი)

14 ივნისი

საფრანგეთის ნაკრების ტურნე არგენტინაში

22.45 არგენტინა — საფრანგეთი (პირველი ტესტი)

ტელ: 93 10 80, 91 10 80

# ვარსკვლავი ჯარში


REUTERS

შარშან ამ დროს კორეელი თავდამსხმელი ან იუნგ-ჰვანი გრძელი კულულებითა და საუცხოო თამაშით აღაფრთოვანებდა მსოფლიო ჩემპიონატის მაყურებელს. იტალიური „პერუჯადან" იაპონურ „შიმიცუში" გადაბარგებულმა ფეხბურთელმა დიდი პატივი დაიმსახურა — სამხრეთკორეული ჯარის ერთთვიან შეკრებაზე გაიწვიეს. იქ მამაკაცთა უმრავლესობა სიცოცხლის 28 თვეს ჯარში ატარებს და ეს სასახელოდ უჩანთ. ფეხბურთელებს ჯარში არ იწვევენ და ანმაც დიდი სიამაყით გადაიპარსა თავი.

# ასტურიის პრინცის ჯილდო

ასტურიის პრინცის ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა გამორჩეულ კაცს, ჯგუფს ან პროექტს. მაგალითად, შარშან ჯილდო ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებმა მიიღო, სხვადასხვა დროს კი ლაურეატები ყოფილან ხუან ანტონიო სამარანჩი, კარლ ლუისი, შტეფი გრაფი და სხვანი. წლეულს ოვიედოში ჯილდოს ძველმა ლაურეატმა, ველომრბოლმა მიგელ ინდურაინმა (მარჯვნივ) და ესპანეთის მეფის სიძემ, ხელბურთელმა ინაკი ურდანგარინმა გამოაცხადეს, რომ პრინცის ჯილდო გადაეცემა „ტურ დე ფრანსს", როგორც უნიკალურ შეჯიბრს. აქვე შევახსენებთ, რომ ინდურაინს ხუთჯერ მოუგია „ტური"



REUTERS

# ვაი-წარმომადგენლები

ორი ბრაზილიელი ბიზნესმენი, რეინალდო პეტა (მარჯვნივ) და ალექსანდრე მარტინსი პოლიციელებმა ციხეში წაყვანის წინ პოლიკლინიკაში გაატარეს ჯანმრთელობის შესამოწმებლად. ეს ორივე კაცი რაღაც დიდ მაქინაციაშია გარეული, რაც თურმე საგადასახადო ინსპექტორებმა აღმოაჩინეს. მთავარი კი ისაა, რომ პეტა და მარტინსი რონალდოს ბიზნეს-წარმომადგენლები ყოფილან.


REUTERS


REUTERS

# ცხელი დღის ბოლოს

პარლამენტში გადატანილი მცხუნვარე დღის შემდეგ, როდესაც ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი ერაყის შესახებ ცნობების გაზვიადებაში ამხილა ოპოზიციამ, პრემიერმა იმისთვისაც მოიცალა, რომ შინ მიეღო ჯონ მაკინროი და მისგან ჩოგანიც იფეშქაშა საჩუქრად. მაკინროი მარტო არ ყოფილა, ბლერმა ჩოგბურთის ასოციაციის მწვრთნელებსა და ნორჩ მოთამაშეებსაც უმასპინძლა.


REUTERS

# ლეფლერი პარლამენტში

ამგვარი იერით, კანადის თემთა პალატის კიბეზე წამოხრილს, ძნელად თუ ვიცნობთ წარსულის დიად ჰოკეისტს, მონრეალელ ყინულის ჯადოქარს გი ლეფლერს. ლეფლერმა ოც წელიწადს ითამაშა ჰოკეი და ხუთჯერ მოიგო სტენლის თასი, თუმცა, ამის თქმა არაფრის თქმას ნიშნავს. ახლა კი ლეფლერი თემთა პალატის წევრი შექნილა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლაშა თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარაცხელია, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, [illegible] ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge